აგვისტო. 1911 წ.

შინაარსი

ჟურნალ „ჯეჯილისა“

I სურათი. შე საძაგელო, როგორ შეგარჩინო ეს საქმე. 438
II მწყემსის სიმღერა ლექსი ვ. გორგაძესი 439
III კურდღელი და თრითინა თარგმანი ტასოსი . . . 441
IV ვარდ-ბულბული კ. იაკობაშვილისა 447
V შურის ძიება ცხოველთა შორის ს. ფ. 449
VI ქოჩორა ვარია ფრანგული ზღაპარი (ფრანგულიდან ტასოსი 453
VII მელა გუპილის საზარელი თავგადასავალი (შემდეგი) თარგ. ფრანგულიდან ელ. დემოდონ-წერეთლისა . . 458
VIII წვრილმანი: ანდაზები, ასაწერი სურათი და ახსნა . 468

IX ჩიტს—ლექსი დ. თურდოსპირელისა 469
X ალექსანდრე მაკედონელი, (შემდეგი) ივ. გომართლისა 470
XI ჯეკი. ცეცხლის მქრობელი რაზმის ძაღლი (შემდეგი) თარგმანი ეკ. მესხისა 475
XII ყოველგვარი ხარისხის და წოდების ხალხ ვაჭრები —ბერლინისა 483
XIII თავის მოვლა (შემდეგი იქნება) ივ. გომართლისა . . 487

იბეჭდება და მალე დაურიგდებათ ჯეჯილის ხელის მომწერლებს
(ვისაც ჟურნალის წლიური ფასი სრულათ აქვთ შემოტანილი)

საჩუქრათ «ღვთის ნუალოგა»

დასურათებული მოთხრობა გიორგი წერეთლისა.

—

რედაქციაში იყიდება ჯეჯილის სრული 18 წლის გამოცემა (დარჩენილია მხოლოთ 15 სერია), რომელიც შეადგენს 160 წიგნზე მეტს, გაგზავნით სხვა და სხვა ქალაქებში ელირება 32 მან. სასწავლებლებს, რომელნიც თითონ წააღებინებენ, რედაქციიდან დაეთმობათ 28 მანეთათ.

„ჯეჯილის“ რედ—ში იყიდება მომდეგი ასალი გამოცემა:

„ცხოველების გამჭრიახობა“ . . . . . 25 კ.
„ბატონ-ყმობის გაუქმება“ . . . . . 12 კ.

საუმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი.

იზარდე მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო!..
ი. დ.

ავგისტო, 1911

✦ წელიწადი მეოცდათორე ✦

F 4502

თბილისი
ელექტრომბეჭდავი „შრომა“, მუხრანის ქ. № 12.
1911

შე სამაგელო, როგორ შეგარჩინო ეს საქმე!

მწუხარის სიმღერა.

I.

ილის რიჟრაჟის ჭირიმე...
ჭირიმე განთიადისა...
მიუვარს მინდორი, ველები
კმკლუცი, არე-მარისა!..
სალხინოდ ქათიბ-ჩაცმულის
საამოდ მომღიმარისა,
და ნაკადულის ჩხრიალი
სალის კლდით მომდინარისა!..
რა კარგი არის მთა-ველი
ოდეს სიტურფით ევავისა,
რა რიგ ამკობენ, შვენიან
სხივნი მზისა და მთვარისა,
ვიშ!!.. მიუვარს... მიუვარს ბუნება
კმკლუცი არე-მარისა!!..

II.

დილით ადრიან გავრეკავ
ცხვრის ფარას მინდორ-ველათა ..
ვამოვებ ცხვარსა... თან ვუკრავ
სალამურს უზრუნველათა!.
სანაც სიმღერას შემოვკრავ...
დავსძახებ ჭოროველასა,
და მთანიც ეურს მიუპერობენ

ჩუმად, ჩემს „დელა-დელასა!!
ცხვარი ბალახს სძოვს... გაშლილ
საამოდ მთის კალთებზედა,
მიჭუვება ოღრო-ჩოღროებს
და ასდევს ბილიკებზედა!.

III.

საღამოს ჟამზე. . როდესაც
მზე გადაწვება მთაზედა,
და ვარსკვლავთ ხომლი კაშკაშით
აინთებიან ცაზედა;—
დაწვება მწუხრის ბინდ-ბუნდი
ირგვლივ მთასა და ბარზედა,—
მაშინ ვუძახი ძაღლებსა,
ცხვარს შევაგროვებ წაძზედა,
მიმყავს და მივერეკები
ცხვრის ფარას ძველ-ბინაზედა!.
დავანთებ ცეცხლსა აღგზნებულს
შეძოვუსხდები გარზედა—
ვახშამს ვჭამ... ვიძ! რა კარგია
ერბო და უველი ჭადზედა!..“
ასე ძღერდა მწყემსი და
არაკრაკებდა სალამურს...
ეურს მიუპყრობდენ მთანი და
ისმენდენ ხმებსა საამურს!!.

ვ. გორგაძე.

კურდღელი და თრიოთინა.



ეო და არა იეო რა, იეო ერთი პატარა ნაცრის ფერი კურდღლის ბაჭია, გრძელი ეურებიანი და გულ-თეთრა.

სანამ კურდღლის ბაჭია სულ პატარა იეო ეშინოდა თავის ბინიდან შორს წასვლა, ამიტომაც მას არ ენახა არც ერთი ტეის ცხოველი.

მოიზარდა თუ არა კურდღლის ბაჭია—მოუნდა ძალიან სირბილი.

ერთხელ მინდორში გაირბინა და დასკუპდა უკანა ფეხებზე.

სან აქეთ გაიეურა, სან იქით.

ბაჭია გამხიარულდა, მერე სტომით გაიგცა.

ირბინა, ირბინა და უცებ დაინახა, რომ ერთ კუნძზე ზის თრიოთინა.

ამას თრითინა ამის მეტათ არ ეხახა და ეგონა, რომ კურდღლის ბაჭიაა.



მიირბინა კურდღლის ბაჭიამ თრითინასთან და უთხრა:

— გამარჯობა, კურდღლის ბაჭიავ!

თრითინამ უპასუხა:

— გაგიმარჯოს! მაგრამ მე კურდღლის ბაჭია-კი არა ვარ, თრითინა ვარ.

კურდღელს გაუკვირდა და ჰკითხა:

— რატომ კურდღლის ბაჭია არა ხარ და თრითინა ხარ?

თრითინამ ძალცა პასუხი:

— იმიტომ ვარ თრითინა და არა კურდღლის ბაჭია, რომ კურდღელს ყურები ჰრტყელი და გრძელი, სულ გრძელი აქვს, თრითინას-კი მოკლე და თან ბოლო ბუმბულივით რბილია.

— კიდევ რატომ კურდღლის ბაჭია არა ხარ და თრითინა ხარ?

— იმიტომ რომ კურდღელს კუდი მოკლე და ბატარა აქვს, თრითინას-კი გრძელი და ბანჯღვლიანი. კურდღელი რომ დაჯდება უკანა ფეხებზე—კუდი სრულებით არ უჩანს, ჩემი-კი, შემომხედე, როგორ ფარფაშობს! თავზე გადადის, მერე რა ლამაზათ! ამით შეიტყობ რომ მე თრითინა ვარ და არა კურდღელი.

— კიდევ მითხარ, რატომ კურდღლის ბაჭია არა ხარ და თრითინა ხარ.

— აი, კიდევ რატომ? კურდღელი ბუჩქის ძირას იკეთებს ბინას—ამოთხრის მიწას, ჩაწვება შიგ და სძინავს მოსვენებით. მე-კი, თრითინას, სახლი მაღლა ხეზე მაქვს, ფუღუროში დახურულია, შესასვლელიც აქვს და თბილა კიდეც!

კურდღლის ბაჭიამ განაგრძო გამოკითხვა.

— მითხარ კიდევ რატომ?

— იმიტომ ვარ მე თრითინა, რომ კურდღლის ბაჭია ოთველთვის მიწაზე დარბის, ხეებზე ცოცვა არ იცის, თრითინა-კი სხვილ თუ წვრილ ხეზე თავისუფლათ დახტის და ერთი შტოდან მეორეზე მარდათ გადახტის ხოლმე.

თრითინამ სახჩვენებლათ დაიწყო დიდი სისწრაფით

ერთი ხიდან მეორეზე ხტომა. ფრჩხილები ჩანგლებს მიუგვანდა და ისე მარდათ დახტოდა, თითქოს არაფერიაო.

თრითინა ავიდა სულ მაღლა ხის კენწეროზე და დაიწყო ერთი ტოტიდან მეორეზე გადახტომა. ხან სულ ზემოთ ახტებოდა, ხან ქვემოთ ჩამოხტებოდა. მთელი ტყე ასე შემოიარა.

ბოლოს კურდღლის ბაჭიამ დაუყვირა:

— მოიცა ჩემო პატარა თრითინავ! განა ყველაფერი მიამბე კურდღლის ბაჭიებზე და თრითინებზე?

— არა, ჯერ ყველაფერი არ მიამბნია: შენ ჩემო ბაჭიავ კომბოსტოს ფოთოლს სჭამ და ხის ქერქს. მე-კი, თრითინამ, ვიცი თხილის გატეხა და ჭამა.

— აბა მიჩვენე თხილს როგორა სტეხამ და სჭამ?

თრითინა ავიდა თხილის ხეზე, მოსწყვიტა თხილი, დასკუპდა უკანა ფეხებზე, თხილი პირთან წინა ფეხებით მიიტაანა — თითქოს ხელებითო და თავისი მაგარი კბილებით მოჭეჭა გატეხას.

ნაჭუჭი ძირს ჩამოყარა, თხილის გულს-კი მოჭეჭა არხეინად ჭამას და თან ზუზუნებდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა ტკბილია, რა გემრიელია!

კურდღლის ბაჭია ქვემოდან შესცქეროდა, მერე მივიდა ნაჭუჭთან, დასუნა და წამოიძახა:

— გეტყობა რომ შენ თრითინა ეოფილხარ და არა კურდღლის ბაჭია. ამას იქით კარგათ გავარჩევ ჰატარა თრითინას და კურდღლის ბაჭიას. ახლა-კი მეჩქარება სახლში დაბრუნება.

— მშვიდობით, ჰატარა თრითინავ!

— მშვიდობით, კურდღლის ბაჭიავ!

და ბაჭიამ მოჰკურცხლა შინისკენ.



ამავე დროს სხვა ბაჭიები, რომელნიც ასე გაბედულნი არ იყვენ და სახლში დარჩენ, აქეთ-იქით გაიეურებოდენ, არ იცოდენ საით გასწია მათმა მამიამ, ან აქამდის რატომ არ ბრუნდება.

ჩვენი კურდღლის ბაჭიაც ჩქარობდა სახლში მისვლას.

მივიდა თუ არა თავის ბინაზე, მოუეკა და-ძმებს მხიარულ თრითინაზე ამბებს: მის გრძელ ბანჯღვლიან კუდზე, რაც გაგონილი და ნახული ჰქონდა ეკელაფერი ჩამოუთვალა.

და თან დასძინა:

— ახლა-კი ვიცი, რატომ ჰატარა თრიოთინა არ არი კურდღლის ბაჭია!

— ჩვენც გვითხარ რატომ? კიდევ რატომ?



ბაჭიამაც ეველაფერი რიგიანათ ჩაბოუთვალა, ისე დალაგებით უამბობდა, როგორც დიდი ვინმე: აი, რატომაო... აი, კიდევ რატომაო...

ამაზე და-ძმებმა უთხრეს:

— ახლა ჩვენც ვიცით, როგორ გავარჩიოთ თრიოთინა კურდღლისაგან.

კურდღლის ბაჭია ძალიან მოიღალა თხრობით და გასწია ბუჩქის ძირას მოსასვენებლათ.

იმდენი თვლემა, თვლემა, რომ ბოლოს სრულებით მიიძინა.

(თარგმანი)

ტასო.

ვარდ-ბულბული.

ერდამ დილა-ადრიანათ გააღვიძა ახლათ მოსულნი სოფელში თავისი ორი ქალიშვილი სონა და მარო და ბაღში გაისტუმრა. ათასფრად შემკულ ხეხილს საამურად შრიალი გაჰქონდა, მაგრამ უფრო მეტათ სურნელოვანი ყვავილები ამკობდენ არე მარეს და მათ შორის მოჩანდა ერთი გადუშლელი ქორფა წითელი ვარდი მაშინვე ემაწვილების ყურადღება მიიპყრო ამ ვარდმა. სონამ სწრაფლათ დაუჭირა ხელი თავის დაიას და მიირბინა იმ ვარდისკენ. მიუახლოვდა თუ არა უთხრა დაიას:

— ხედავ, რა მშვენიერია, უნდა მოვწყვიტო!

სონამ რომ დაუპირა მოწყვეტა, ამ დროს ნელმა სიომ დაჰქროლა... ვარდმა თავი ძირს დახარა, მარგალიტებრივი ცვრები გადმოჰყარა თავის გულ-მკერდიდან და წყნარი ხმით უთხრა: — ხელს ნუ მახლებთ, ლამაზებო, ხომ ხედავთ, ჯერ გადუშლელი, ჩახუჭუჭებული ვარ; მეც თქვენსავით ნორჩი ვარ, მსურს მეც ვუყურო მზეს, ქვეყნიერებას, დავსტკბე მათი ცქერით. მართალია, გსურთ ჩემი მოწყვეტა სილამაზის გამო, მაგრამ გარწმუნებთ, უფრო ინანებთ: მოწყვეტილი მე სულ ცოტა ხანში ჩამოვჭკნდები... სურნელება დამეკარგება და თქვენ, რასაკვირველია, ძრიელ გული დაგწყდებათ. ისევ ისა სჯობია მე აქ ვიყო, ჩემს ალაგას და თქვენ, როგორც საყვარელ სტუმრებს, გაგიმასპინძლდეთ ჩემი სურნელებით და სილამაზით. აი, ხედავთ, იმ ლამაზ ფრინველს, რომელიც ალუბლის შტოზე ზის —

ისიც ხშირად მეწყვეა ხოლმე, საუცხოვო და სასი-
ამოვნო სიმღერით მამკობს.

ბავშვებმა სწრაფათ მიიხედეს იმ ხისაკენ, საცა ეს
ბატარა ფრინველი გაჰკიოდა სანეტარო სიმღერას,
— უი, ხედავ ბულბული, ბულბული, უთხრა სონამ დას.

ბავშვებმა გულმოდგინედ დაუწყეს ცქერა ბულ-
ბულს, სმენად გადაიქცენ, თითქოს არი ახლა მო-
ფრენილიყოს ბულბული-კი სულ მალ-მალ სცვლიდა
საამურ ჭანგებს და რაც მალი და ღონე ჰქონდა, უს-
ტვენ-არაკრ-კიდა, თითქოს ბავშვებს ეხვეწებოდა:

— თქვენს ლხენას, ეგ ტურფა ყვავილი არ მოიწყვი-
ტოთ, თორემ ჩემს ხმას ვეღარ გაიგონებთ. მეც თქვენ-
საკით მაგას ვეტრფი, ძაგით ვაძლევ შვებას ჩემ გულს.

— ნუ მოვწყვეტთ ამ ვარდს, დაია, უთხრა სო-
ნამ, — ხედავ, როგორ ამშვენებს, ამკობს აქაურობას!..

— მერე მაგის გულისთვის ბულბული რა საამუ-
რად უსტვენს!.. არა, ვარდო, მიუბრუნდეს მარო და
სონა ვარდს, — არაფერს არ გავნებთ, ხელს არ შეგა-
ხებთ და კიდევაც ვეცდებით სხვებსაც დავუშალოთ,
რომ არ გამოასალმონ შენისთანა მშვენიერება ქვეე-
ნიერებას. მხოლოდ გულწრფელათ გეხვეწებით, გემუ-
დარებით ლამაზო ყვავილო გვაჰატივე და ნება მო-
გვეცი, რომ მალ-მალ გინახულოთ და დავსტკბეთ შე-
ნი ცქერით და შენი შეკობი ბულბულის სმენით.

სიომ ხელმეორედ დაჭრილა... ვარდმა თანხმობის
ნიშნად თავი დაუქნია სტუმრებს. ბავშვებმა სიამოვნე-
ბით მოლხენილებმა შინისკენ მოჰკურცხლეს.

კ. იაკობაშვილი.



შურისძიება ცხოველებთა შორის.

ცხოველი შურს იძიებს ხოლმე, როდესაც მას უდიერათ ექცევიან და სასტიკი ქცევით მოთმინებიდან გამოჰყავთ. ცხოველებში შურის მაძიებელია ყველაზე უფრო სპილო. ის არასოდეს არ იკიწყებს შეურაცყოფას. ამისი მაგალითი რამდენიმე არის.

კაპიტანმა შიპპემ ერთხელ სპილოს მისცა ცხარე პილპილ წაერილი პური. სპილომ, თუმცა შესჭამა ეს პური, მაგრამ მიხვდა, რომ კაპიტანი დასცინის და დაინახსომა საშურისძიებოთ. ექვსი კვირის შემდეგ კაპიტანი ისევ მოვიდა მასთან და დაუწყო ფერაობა. სპილომ ალერსი მიითვისა, მაგრამ მერმე უცებ მიბრუნდა მისკენ,—აიღსო ხორთუმი ტალახიანი წყლით, შეასხა და კაპიტანი თავით-ფეხამდე გაწუწა.

1805 წელს, დიდი ხნის განმავლობაში ცხელი და მშრალი ქარი ჰქროდა.—ყველა წყაროები და ჭები დაშრა. მარტო ერთ ჭაში მოინახებოდა ცოტოდენი წყალი. ამ ჭას მუდამ ხალხი და პირუტყვები

ესვეოდენ. ერთსულ ამ ჭასთან მოიყვანეს რამოდენიმე სპილო. ერთ მათგანს ხორთუმით ეჭირა წყლის კასრი. მეორე სპილომ, უფრო ღონიერმა და დიდმა, ჩაიგდო დრო, როდესაც პატრონი იქ არ იყო, და წაართვა თავიზე სუსტს მეგობარს წყლის კასრი. ამან იმ წუთში ვერასფრით ვერ გადაუხადა თავის ღონიერ მეტოქეს, მაგრამ მალე ჩაიგდო დრო სამაგიეროს გადასახდელათ. როდესაც ამ ღონიერმა და დიდმა სპილომ კასრი ჩაუშვა ჭაში — პატარამ, ჯერ გაიარა რამოდენიმე ნაბიჯი, მერმე უცებ მობრუნდა, გაექანა თავის მტრისაკენ, დაეჯახა მას, მუცელში თავი ჩაჰკრა და ისე ჩააგდო ჭაში.

ერთ კაცს უყვარდა სპილოს გამოჯავრება, წამ და უწუმ უთავაზებდა სალათას — სპილოს-კი ეჯავრებოდა ეს საჭმელი. მან არ იკმარა ესა და ერთხელ მისცა ვაშლი და ამავე დროს ხორთუმში შეურჭო ნემსი, სპილო უზომოთ გაბრაზდა. სამხეცოს ზედამხედველმა რომ დაინახა სპილო ასე გაბრაზებული, ურჩია კაცს მოშორებოდა სპილოს. კაცი მოშორდა და ახლა სხვა მხეცს დაუწყო გაჯავრება. ნახევარ საათის შემდეგ ის ხელ-ახლად მივიდა იმ სპილოს გალიის მეზობლათ. როგორც-კი სპილომ თვალი მოჰკრა თავის მწვალებელს, მაშინვე გალიის ბადეში გაჰყო ხორთუმი, მოსტაცა მას ქუდი, ერთი თვალის დახამხამებაში დაჰგლიჯა იგი და თავის შეურაცხეოფელს სახეში ესროლა.

ბევრ ამისთანა შემთხვევებს გვიამბობენ ძაღლებზედაც, ერთი ფერმერი სცხოვრობდა ლონდონის მახლობლათ და ეოველ დილით მიჰქონდა ქალაქში გა

საკიდათ რძე: იმას თან დაჭუავდა თავისი ძაღლი, ეს იყო უბრალო, უჯიშო ძაღლი, სახელათ ერქვა ვიქტორი, საშინელი ჩხუბის მოყვარე იყო და ქუჩაში ყოველთვის ჰირველათ ის იწყებდა ჩხუბს, თუ-კი ნახავდა თავისზე სუსტს ვისმეს მოწინააღმდეგეს. კბენდა, სისხლს ადეინებდა, მაგრამ როდესაც ღონიერ და დიდ ძაღლს შეხვდებოდა, მაშინ სულ სხვა იყო: ის კუდ-ამოძუებული, ხმა გაკმენდილი დაუხვდებოდა, რადგანაც ეს მოდა, რომ მასთან ჩხუბი სიკეთეს არას დააერიდა. რამოდენიმე თვის განმავლობაში ვიქტორი თავზარს სცემდა ყველა ჰაწია ძაღლებს. ამათ დიდ ხანს უთმინეს, ბოლოს მოთმინება გამოელიათ და გადასწყვიტეს ჭკუა ესწავლებინათ.

ერთ დღეს მოედანზე შეიკრიბენ ყველა ამის მტერი ძაღლები და საშინელის ყეფით ეცენ იმ ადგილს, სადაც სცხოვრობდა მათი მტარვალი. მეორე დილით ჰატრონმა ნახა ძაღლი თავის ფერმის კარებთან. ძლიერ დაკბენილი; ბევრი სისხლი დაეღვარა და უგრძნობლათ ეგდო მიწაზე. ძლივ ძლივობით მოაბრუნეს საბრალო. ბევრმა ხანმა გაიარა, სანამ ძაღლი ძოსულიერდებოდა და ისევ დაიწყებდა ჰატრონთან ერთად ქალაქში სიარულს, ამ შემთხვევამ სრულებით შეუცვალა მას ხასიათი; ამას იქით აღარც ჩხუბობდა და აღარც არავის კბენდა. ის ახლა წყნარი და გამგონი იყო, ჰატარა და უღონო ძაღლებს თითქმის მფარველობასაც უწევდა და თავის საქმეზედაც უფრო მუყაითად იყო. ერთი სიტყვით სრულებით დაჭკვიანდა. სასჯელმა მასზედ ძალიან კარგად იმოქმედა.

ერთი ინგლისელი მღვდელი გვიამბებს შემდეგ ამბავს მამალზე, რომელსაც ჩვეულება ჰქონდა მარტო თვითონ ეჭამა მთელი საკენკი, რომელსაც დიასახლისი ქათმებს და იხვებს უყრიდა. იხვებმა ბევრი ითმინეს და ბოლოს მოთმინებიდან გამოვიდენ. ყველა ერთად შემოესიენ მამალს, მამალი შეშინებული გაიქცა, მიხვდა რაშიაც იყო საქმე და ამ დღიდან თავისი ავაზაკობა დაივიწყა. მის შემდეგ იხვები თავისუფლათ სჭამდენ საჭმელს—მამალი ვეღარასფერს ვერ ბედავდა.

შურის ძიება იცის მაიმუნმაც.

ერთ სამხედრო სამსახურის კაცს არ უყვარდა საზოგადოთ მაიმუნები. ერთხელ ეს კაცი გამოწყობილი მიდიოდა სამსახურში. ერთ მეზობლიანთ მაიმუნმა, როგორც-კი დაინახა ის აიღო მუჭით ლაფი (ტალახი) და შეასხა გამოჰრანჭულ მხედარს; ამ მაიმუნს დიდ ხანს არ დავიწყებია თავისი საქციელი და ყოველთვის აღტაცებაში მოდიოდა რომ დაინახავდა ამ მხედარს, მისგან ასე სასტიკათ დასჯილს.

ამბობენ რომ თუთიყუშებიც არ ივიწყებენ შეურაცყოფას და ელოდებიან ხოლმე შემთხვევას, რომ გადაუსადონ საძაგიერო თავის მტერს.

ა. ფ.

ქოჩორა ვარია. *)

(ფრანგული ზღაპარი).

ეო და არა იეო-რა, იეო ერთი ქოჩორა ვარია. მან დიდი ეაირათობით და გაჭირვებით მოაგროვა ასი ოქრო. ხელმწიფემ, რომელსაც ეოველთვის ესაჭიროება ბევრი ფული, შეიტეო თუ არა რომ ქოჩორა ვარიას აქვს ოქროები — ისესხა მისგან. თავდაპირველათ ვარიას თავი მოსწონდა კიდეც რომ ხელმწიფეს ასესხა ოქროები, მაგრამ ერთხელ უმოსავლო წელიწადი დაუდგა და თავისი ფული დასჭირდა. ვარიამ უგზავნა წერილი წერილზე ხელმწიფეს, მის ნაზირ-ვეზირებს, ითხოვდა ვალის გადახდას, მაგრამ პასუხს არ იძლეოდენ. ბოლოს ვარიამ დაიპირა წასვლა თავისი ოქროების ამოსაგებათ.

ქოჩორა ვარია გაუდგა გზას.

მიდის, მიდის და გზაზე უცებ ხვდება ერთი მელა.

— საით მიდიხარ, ქოჩორა ვარია?

— ხელმწიფესთან მივდივარ, მას ასი ოქრო მართებს ჩემი.

— მეც წამიყვანე თან.

— რატომაც არ წაგიყვან, ჩამჯდარ ჩემ ჩინჩახვში და ისე წავიდეთ.

მელა ჩამჯდარა მის ჩინჩახვში და ვარია კვლავ გაუდგა გზას, თან უსარდა, რომ მელას ასიამოვნა.

ვარია მიდის, მიდის და ახლა მგელი ხვდება.

---

*) სადედდო ქათამი.

— საით მიდიხარ, ქოჩორა ვარიავ?

— ხელმწიფესთან მივდივარ, მას ჩემი ასი ოქრო მართებს.

— მეც წამიყვანე თან.

— რატომაც არ წაგიყვან, ჩამჯერ ჩემ ჩინჩახვში და გავუდგები გზას.

ძველი ჩამჯრა მის ჩინჩახვში და ვარია კვლავ გაუდგა გზას. ვარიას ძალიან ემძიმებოდა სიარული, ქვშვინავდა, სულს ძლივს იბრუნებდა, მაგრამ როდესაც მოაგონდებოდა, რომ მგელს ასიამოვნებს, არაფრად იმჩნევდა თავის გაჭირებას.

ხელმწიფეს სასახლეს რომ უახლოვდებოდა ქოჩორა ვარია, გზაზე შეხვდა მდინარე.

— საიდ მიდიხარ, ქოჩორა ვარიავ?

— ხელმწიფესთან, მას ასი ოქრო მართებს ჩემი.

— მეც თან წამიყვანე!

— თუმცა ძალიან მიჭირს, მაგრამ თუ ჩემ ჩინჩახვში ადგილს მონახავ, შენც თან წაგიყვან.

მდინარე სულ ჰატარათ იქცა და ისე ჩაუჯდა ჩინჩახვში.

საბრალო ქოჩორას ძალიან უჭირდა სიარული, მაგრამ მაინც სასახლეს მიადგა.

დააბრახუნა სასახლის კარები ერთხელ, დააბრახუნა მეორეჯელ, ბოლოს კარის კაცმა ზემოდან გადმოიხედა.

— რა გინდა, ქოჩორა ვარიავ?

— უნდა ხელმწიფე ვნახო, ჩემი ასი ოქრო მართებს.

კარის კაცს ძალიან შეეცოდა ამისთანა ჰატარა ალალ-მართალი არსება.

— წადი აქედან, ჩემო კარგო, ხელმწიფეს არ უყვარს, როცა აწუხებენ, ცუდ გუნებაზე დგება ხოლმე.

— გამიღე კარი, მინდა მოველაპარაკო. მე ის კარგათ მიცნობს. ჩემი სარჩო ხომ მასთან არის.

როდესაც ხელმწიფეს მოახსენეს, რომ ქოჩორა ვარიას უნდა მასთან მოლაპარაკება—ის იჯდა სუფრაზე და კარის კაცებთან ქეიფობდა. ხელმწიფე მაშინვე მიხვდა რაშიაც იყო საქმე და გაიცინა.

— გაუღეთ კარი ჩემ ძვირფას მეგობარს და შეიყვანეთ საქათმეში.

ვარიას კარი გაუღეს და ხელმწიფის ძვირფასი მეგობარი არხეინათ შეეიდა სასახლეში სრული დარწმუნებული, რომ თავის ოქროებს მაშინვე მიიღებს.

ძაგრამ მის მაგივრათ რომ მაღლა სასახლის ოთახებში აეყვანათ, სადღაც ჰატარა ეზოსკენ წაიყვანეს, საქათმეში შეაგდეს და კარი გადაურაზეს, ჩვენი ვარია მოულოდნელათ გაჩნდა საქათმეში. მამალმა ზემო ქანდარიდან თავმოძწონეთ გადმოხედა. ქათმები-კი მივარდენ ამ დაუპატიჟებელ სტუმარს და დაუწყეს კორტნა. ქათმებისთანა ბოროტი არსება ჯერ არ გაგონილა, როდესაც უცხო ვინმე ეწვევა მათ საქათმეში. ქოჩორა თავისიანებში ნებიერი იყო, ჩხუბს არ იყო ჩვეული. თავის თავი რომ ამ მტრებში ნახა ძალიან შეეშინდა, გაიგცა კუთხისკენ და მოჭყვა ყვირილს:

— მელია, მელია, გამოდი, მიშველე თორეს შენი ქოჩორა დაიღუპება.

მელია ერთ წამს გაჩნდა საქათმეში და ქათმები მთლათ გაწუვიტა.

მექათმემ რომ ქათმებს საჯმელი მოუტანა საქათმეში ბუმბულის მეტი ვერა ნახა-რა მაშინვე ტირილით ხელმწიფესთან გაიგცა საჩივლელათ. ხელმწიფეს ჯავრით ალმური აედინა.

— ახლავ შეაგდეთ ეგ საძაგელი ცხვრის ფარეხში!

ბრძანა ხელმწიფემ და ნაღვლის გასაქარწულებლათ მოატაინა კიდევ ღვინო

შეაგდეს თუ არა ჩვენი ქოჩორა ფარეხში, ამან აქ უფრო ცუდათ იგრძნო თავი, ვიდრე საქათმეში. ცხვრები ერთმანერთზე ეუარენ და ადვილათ შეიძლებოდა ეს საცოდავი გაეჯულიტათ. ვარია მიიმალა ბაკის იქით, მაგრამ იქ უცებ გაჩნდა თეთრი დიდი ვერძი და ისე მიაწვა ამ საბრალოს, რომ ის ის იყო სული ამოუვიდოდა.

— მგელო, მგელო, გამოდი, მიშველე, თორემ მე, უბედურს, გამჯულეტამენ.

მგელი ამოვიდა იმის ჩინჩახვიდან და ერთი თვალის დასამსამებაზე ცხვრები სულ ერთიანათ გაჟლიტა.

ხელმწიფემ რომ შეიტყო ეს ამბავი მის აღშფოთებას სამზღვარი არა ჰქონდა. სუფრაზე ჭიქები და საღვინოები სულ ერთიანათ დაამსხვრია. ძერე უბრძანა დაენთოთ დიდი ცეცხლი და შამფური მოეტანათ.

— მე იმას ასე ადვილათ არ ვაპატივებ, რომ ამოძიწუვიტა ეველაფერი, შეჰვევირა ხელმწიფემ, უნდა შამფურზე ავაგო.

ვარია მიიუვანეს ცეცხლთან, საბრალო ცასცასება-და. ის იყო ხელმწიფემ ერთი ხელით შამფური აიღო და მეორეთი ვარია აიუვანა, მაგრამ საბრალომ მო-ასწრო და წაიბუტბუტა.

— მდინარეო, მდინარეო! ამოდი, მიშველე, თო-რემ შენი ჰატარა ქოჩორა დაიღუპება.

მდინარე ამოვიდა მის ჩინჩახვიდან, ჩააქრო ცე-ცხლი და დააღრჩო ხელმწიფეც და მისი ნაზირ-ვე-ზირებიც.

ვარიას მთელი სასასლე ხელში ჩაუვარდა. ამან იქაურობა სულ გადააბრუნა, თავის ას ოქროს დაეძებ-და, მაგრამ მისი კვალიც კი არსად ნახა.

რადგან ხელმწიფის სიკვდილის შემდეგ ტახტი ცარიელი იყო, ქოჩორა ვარია ავიდა ზედ და გამეფ-და. ხალხი დიდი სიხარულით მიეგება ახალ დედო-ფალს, რადგან იცოდა, რომ ის ყაირაჟიანი და მომ-ჭირნახე იქნება.

(ფრანგულით)

ტასო.

მელა გუპილის საზარელი თავგადასავალი.

(მოთხრობა ლუი ვერგოსი)

VI.



ის შეუძლია თქვას, რამდენი ხანი გაატარა გუპილმა ამ სრულ უგრძნობლობაში, რომელიც სიცოცხლე აღარ იყო, მაგრამ არც სიკვდილი იყო ჯერ; უზომო უნდა ეოფილიყო ცხოველი ძალა ამ ტეის თავისუფალ მოხეტიალეში, რომ ამდენი ხნის მარხულობის, ამდენი შიშის, დაღალვის და ტანჯვის შემდეგ მან შესძლო ისევ გამორკვეულიყო და სიკვდილის კარს მიმდგარი ხელ ახლავ სიცოცხლეს დაბრუნებოდა.

ნელ-ნელა მოსულიერდა; იმ სასიამო სიჩუმეში, რომელიც მის გარშემო სუფევდა, ჯერ ცარიელ კუჭსაც-კი არ გაეხსენებინა მისთვის საძუსარო სინამდვილე, რომ კისერში რაღაც უჩვეულო შევიწროებამ გამოაფხიზლა; ეს ლიზეს მართული აგონებდა თავს, მართული, რომელიც უცნაურათ იზიდავდა გუპილის ფიქრებს და რომელზედაც თითქო ემყარებოდა მთელი მისი მომავალი ცხოვრება. ემინა თუ ეღვიძა მელას? სიზმარში იყო თუ ცხადში? მან არ იცოდა. თვალები დახუჭული ჰქონდა, ნელ-ნელა გაახილა, გაახილა ფრთხილათ, უნმრევლათ, და წყენარათ გადაავლო ირგვლივ გადაშლილ არე-მარეს; არაფერი საშიში არ

სჩანდა; ისევ ფრთხილათ, ისევ წუნარათ, თითქო კაკ-ბების გუნდს ეპარებაო, თავი იქით-აქეთ მიატრიალ-მიატრიალა; არაფერი, არაფერი საშიში. მან თავი-სუფლათ ამოისუნთქა. ნეტავი საით გაიქცა ძაღლი? გაჭქრა, ვითარცა მოჩვენება, ვით ცუდი სიზმარი. ვინ იცის, იქნება მართლაც ეგელა ეს მხოლოთ სიზმარი, მხოლოთ მოჩვენება იყო? მაგრამ არა, ეს მართული, ეს კისერზე შებმული მართული ცხადათ უმტკიცებდა გუპილს მისი საზარელი ტყვეობის სინამდვილეს.

გუპილმა თათი მისკენ გაიწია, მისი მოშორება მოინდომა; მაგრამ შეეხო თუ არა მას, ეჟვანმა ისევ დაირაწკუნა, სულ ახლოს, მის ყურთან; მელამ იქვე ჩაიკეცა; მთელ ტანში შიშის ჟრუანტელმა დაუარა. მირო! უკანასკნელი წუთი დგებოდა... გაქცევა აღარ შეეძლო, ძალ-ღონე აღარ შესწევდა... სწრაფათ ერთი კიდევ გაიხედა მარჯვნით, მარცხნით... არაფერი! არ-სად არავინ სჩანს! მაშ რაღა არის ეს ეჟვნის რაწკა-ნი აქვე, მის გვერდით?...

და უეცრათ გუპილი მიხვდა.

უცნაური რგვალი საგანი, დამცინავი ბირიანი და მკვდრის თვალებიანი, რომელიც ლიზემ მართულს ჩამოჭკიდა, ეს უცნაური საგანი მიროს ეჟვანი იყო! ამ ეჟვნით კისერზე იქრილა მან გიჟივით მთელი ღა-მე, დარწმუნებულმა, რომ მირო უკან მისდევდა! მთე-ლი რვა საათის განმავლობაში სირბილი, შიში, მრ-წოლა, სასოწარკვეთილება, ეგელა ეს ლიზეს შურის-ძიება იყო! და ამასაც არ კმარობდა ავგული მონა-დირე!

ახლაც, როცა გუჰილი ისევ იღვიძებდა იმედსა და სიხარულისათვის, ახლაც, როცა ის უბრუნდებოდა თავიხუფალ ცხოვრებას, ახლაც ეს ეჟვანი შეუბრალებლათ უკან გასდევდა, სიცოცხლეს მოუწამლავდა და ეველასა და ეოველის წინააღმდეგ თავის საზარელ დანიშნულებას შეასრულებდა!

ძლივს-ძლივობით წამოდგა გუჰილი თავის დაღალულ, მტკივან თათებზე და ნელი ნაბიჯით მიადგა წყაროს, რომელიც მის სიახლოვეს შეუჩერებლათ, ერთფეროვანათ, ტკბილათ ჩუხჩუხებდა; ამ ჩუხჩუხს მწუობრათ უერთდებოდა ხეების ნაზი შრიალი, ფრინველების საამო ჭიკჭიკი, მწერების ბზუილი, ეველა ის სხვა-და-სხვა ხმაურობა, რომელიც ერთათ შეწეობილი ტეის მოლაპარაკე სიჩუმეს წარმოადგენს.

დიდხანს და ხარბათ სვა გუჰილმა წმინდა, ანკარა წყალი, ძოლათ აამღვრია იგი, შეშალა მასში თავისი გამოსატულება, გამსდარი, დაუმლურებული მელიის გამოსატულება, რომლის აცქვეტილი ეურებიც ორ დრაჯსავით ამართულიეკენ და თითქო ეოველ წამს რაძე საშიში ხმის გაგონებას მოელოდენ.

წეურვილი რომ ამოიკლა, ჭამასე ფიქრს შეუდგა, და რადგანაც ტეეში არაფრის შოვნის იმედი არ ჰქონდა, მობიბინე მინდვრებისკენ გაეშარა; იქ დრო გამოშვებით ტოროლები ისე აფთქრიალდებოდენ ხოლმე ბალახებიდან, როგორც განხორციელებული სიხარული, ადიოდენ ლაჟვარდ ცის სივრცეში და ავსებდენ მას თავისი წკრიალა ჰანგებით, მერე სწრაფათ ეშვებოდენ ძირს, საკუთარი გალობით და ლაჟვარდი

ცის მშვენებით თავბრუ-დასხვეულნი და თითქოს დამ-
თვრალნი.

იქ უთუოთ იპოვიდა გუპილი ზოგიერთ იმ გემ-
რიელ ბალახს, რომელსაც ეოუელთვის სცნობდა, ან
რომლის ცნობაც ნელ-ნელა შეისწავლა; ან კიდევ რო-
მელიმე ნოუიერ სოკოს, ან და მუდოს სოროს, რო-
მელსაც გაბედვით დაეცემოდა თავს, ან კიდევ, ვინ
იცის, სადმე იქნება რამე ლეშსაც-კი წაწყდებოდა,
ზამთარში მომკვდარ და ჯერ შეუჭმელ პატარა ცხოვე-
ლის გვამს.

მაგრამ რა აუტანელი რამ იყო ეს ეჟვანი! კის-
რის შევიწროვებას, ტკივილს მელა ადვილათ გაუმ-
ლებდა, მხოლოთ ამ შეუწყვეტელ რაწკუნს ვერ ეჩვეო-
და მისი ეური; ეს რაწკუნი აგონებდა მას წარსულს
და მომავალ განსაცდელს და სრულიად უწამლავდა სა-
ევარელ ტყეში დაბრუნებით გამოწვეულ კმაეოფილე-
ბას; ეს რაწკუნი იყო მისი განთავისუფლების ქირა,
მას ის ვეღარსად წაუვიდოდა, მუდამ თან უნდა ეტა-
რებინა, სიკვდილამდის მისი მსხვერპლი უნდა ეო-
ფილიეო!

და გუპილს ბრაზი ერეოდა, ეჟვნის მოშორების
უზომო სურვილი აღრჩობდა.

ბევრჯელ ზურგზე გაწოლილმა, უკანა თათებ აშ-
ვერილმა, მელამ დაჟინებით, გააფთრებით სცადა წი-
ნა თათებით ლიზეს მართული გაეხსნა ან გაეგლიჯა;
კისერი მთლათ გაიტეავა, ბრჭეალები დაიჩლუნგა, და-
იმტვრია, რკინის ეელსაბამს-კი ვერაფერი დააკლო;

ის კი არა, ეოველი თათის მოქნევაზე ეჟვანი ისე რაწკუნობდა, თითქო დასცინოდა გუპილს, თითქო ახელებდა მას.

იმედ გადაწუვეტილი გუპილი ამაოთ სცდილობდა შეჩვეოდა ამ ხმას; ეჟვნის შეუჩერებელი რაწკუნი მას ჭკლავდა, ჭკუაზე შლიდა, და ბრაზი, უსაზღვრო, თუმცა უძლური ბრაზი სულ უფრო და უფრო ახრჩობდა მას.

მაგრამ სხვა რა ღონე იეო? ასე თუ ისე, მაინც უნდა ეცხოვრა!

და გუპილმა იცხოვრა.

დღიური ლუკმის შოვნა მაინც და მაინც არ გაუჭირდა; ხან მინდორ-ველებში ბალახს სჭამდა, ხან ტეეში სხვა და სხვა ხილს; ზოგჯერ ჩირგვებს არსევდა და ძირს ჩამოვარდნილ მსხვილ მაია ჭიებს ულაპავდა, ხშირათ ჩიტის ბუდეებსაც ეოულობდა ეკლნარში და ბუჩქებს შორის; ხან ეატარა კვერცხებს სვლეპდა, ხან ტიტველ, ტან-წითელა, თვალ-აუხილავ და ფართეთ ეირ-გაღებულ ბარტეებს ახრამუნებდა; შაშვების ბუდესაც სწვდებოდა, დაბალი ჩეების ქვედა ტოტებზე გაკეთებულს, და მუსრს ავლებდა მათ, ეანებში კაკბებს და მწეერებს ანადგურებდა, და, თავისი ეჟვნის წეალობით, ახლა სამოსახლოებსაც-კი დაურიდებლათ უახლოვდებოდა.

მას განსაკუთრებით სძულდა ბულუას სამოსახლოს ერთი დიდი მამალი, მხცოვანი, კრიალა ხმიანი, ბურტულიან თათებიანი მეივანა, რომელიც მუდამ

ქათმებ შემოსეული დასეირნობდა ეზოში და შორიდან-ვე გრძნობდა ხოლმე მელას მიახლოვებას; მაშინვე თავს ძღლა ასწევდა, ფრთებს დააფართხუნებდა და ერთ ისეთ ეიეღლიეოს დასძახებდა, რომ შეშინებული ქათმები იმავ წამს იქით გარბოდენ, სადაც თავის ბატარა შენობის კარებთან ძღლი იეო გაწოლილი და სადაც მტერი მათ ვერ მიუდგებოდა.

დიდი ხანი იეო რაც გუპილს ამ მამლის სიკვდილი გადაეწყვიტა.

რამდენიმე დღის განმავლობაში მან ეურადღებით ადევნა თვალი მის ცხოვრებას, მის ხნე-ჩვეულებას; მერე ერთ მშვენიერ დილას ეზოს ღობეს ამოეფარა და ცდა დაუწეო.

ბიბილო ამართული, თვალებ დაბრიალებული, ფრთებ აბურძგნული, მამალი ქათმებს მოუძღი და ნელ-ნელა ღობეს უახლოვდებოდა; მაგრამ დღეს ჩვეულებრივი გაბედული და თავმომწონე შეხედულება არ ჰქონდა, ეტეობოდა, რომ ხიფათს წინ-და-წინვე გრძნობდა და ფრთხილათ იეო; გუპილმა თავისი ეჟვანი დაარაწკუნა და ამ ნაცნობი, შინაურული ხმით მტერი დაამშვიდა; მერე დიდი მოთმინებით, როგორც ეს გამოცდილი მონადირის რიგია, მას მიახლოვება აცალა, და როცა რამდენიმე ნაბიჯზე დაინახა, როცა დარწმუნდა, რომ ვეღარსად წაუვიდოდა, ერთი ვეებერთელა ნასტომით გავარდა მისკენ, გამოუდგა, დაეწია და მკერდში კბილები ჩაასო; ქათმები აირიენ, აწიოკდენ, მელამ-კი, გამარჯვებით დაკმაყოფილებულმა,

ამაეათ თავი ზევით ასწია და ტეისკენ გააქანა ნადავ-ლი, იქ მოსვენებით ფრთები გაიცალა და შეჯამა.

მერე ადვილათ ამოწევიტა ქათმების ჯოგიც, უმამ-ლოთ დაობლებული; მაგრამ ისე ოსტატურათ მ-ა-გვარა ეს საქმე, ისე სხვა და სხვა დროს, მოულოდ-ნელათ, ეცემოდა თავზე სამოსახლოს, რომ ბატრონს ვერაფრით ვერ მოეხერხებინა მას გადარაჯებოდა; და რადგანაც მელიასათვის თვალი ვერ მოეკრა, მხოლოთ ეჟვნის რაწკუნი გაეგონა ხან-და-ხან, და არც გუპი-ლის ამბის იცოდა არაფერი, დარწმუნებული იყო, რომ მირო ჭვარავდა ქათმებს და ბრალ-მორეული იძუ ქრებოდა ლიზეს უნდა ვუჩივლო, ან და მოვუკლა ის ოსერი ძაღლი.

გუპილი-კი სუქდებოდა, და თუმცა იძულებული იყო კურდღლებზე ნადირობისათვის თავი დაენებები-ნა, ბულუას სამოსახლოს ქათმები ამის სამაგიეროს უხვათ უწყვეტენ, და ისიც თან-და-თან ურიგდებოდა თავის ბედს.

მაგრამ ერთი რამ-კი ძალიან აღონებდა მელას: მუდმივი მარტოობა.

არც ერთხელ, თავის ტყვეობის შემდეგ, მას არც ერთი თავისი მმობილი აღარ ენახა; ღრმა აღელვე-ბით იგონებდა ის წარსულ დროს, ამხანაგებში გა-ტარებულ ბედნიერ დღეებს, მათთან თამაშს და მხია-რულებას, და აგრეთვე ჩხუბს, რომელიც ხშირათ ნა-დავლის გაყოფას მოჰყვებოდა ხოლმე და რომლის დროსაც მელიების წაწყვეტებული, ბასრი, კბილები თეთრათ ელვარებდენ აწეული ძავ ტუჩებს ქვემოდან.

ახლა აღარაფერი, აღარაფერი ტეის მეტი, თითქო მთელი მისი ჯიში ამოწყვეტილიუო, გამქრალიუო მის ტყვეობის დროს; შორიდანაც-კი თვალი ვეღარ მოეკრა ვერც ერთ თავის მოძმესათვის!

მაგრამ ამის და მიუხედავათ ის მაინც მუდამ გრძნობდა მათ არსებობას თვის გარშემო; ის ხედავდა კვალს, რომელსაც სხვა მელიები აჩენდენ ტყეში, ხან ეოველთვის ნოტიო მიწაზე, ხან დაბალ ტოტებზე, ჩირგვნარში, და ხან ბალახებში, მინდორ-ველებზე; მას ესმოდა შორეული წკნავილი, რომელიც ამტკიცებდა, რომ ორი მელია ერთათ ნადირობდა და ერთი-მეორეს ხმას ამლევდა; ერთი ნადირს მისდევდა და დაბალი, თითქო ჩახლეჩილი ხმით ამხანაგს გზას უჩვენებდა, მეორე-კი ამ გზაზე საფრდებოდა და კურდღელს წინ უხვდებოდა, ჰგუდავდა.

გზები გუბილმა ეველა კარგათ იცოდა და სხვისაგან გამოდენილი ნადირის დასვდომა მასაც ადვილათ შეეძლო; ერთხელ, შიმშილით გამწარებულმა, ისიც-კი გაბედა, რომ მირონს ნადირს, დიდ, გრძელეურა კურდღელს დაუხვდა და გაგუდა; მაგრამ ეს იეო და ეს, ხელ-ახლავ აღარ გაუმეორებია ამგვარი თავხედობა, რადგანაც ძაღლი, მასავით ჭკვიანი, ძაშინვე მიუხვდა გუბილს ეშმაკობას და იმ წამსვე გამოუდგა მას; უსათუოთაც დაეწეოდა, მით უფრო, რომ მელას მხარზე წამოგდებული კურდღელი ამძიმებდა, მაგრამ მელამ იგრძნო ეს და თავისი ნადავლი მტერს მიუტოვა, კლდის ერთ ნაპრალში; მირონმაც იპოვა კურდ-

ღელი და გუჰილს თავი დაანება; ქვებზე დარჩენილმა ტეავის ნაგლეჯებმა და სისხლის წვეთებმა ცხადათ დაამტკიცეს ამის მერე რა გემრიელათ ისაუზმა მაღლმა იქ, ჩუმათ, ჰატრონის გაუგებლათ.

გუჰილმა, რასაკვირველია, თავისი ძმობილების ნადირობითაც იფიქრა სარგებლობა, მაგრამ არც ეს გამოადგა; თუ ექვანი გრძელ-კუდა მონადირეებს აფრთხობდა, აგრეთვე აფრთხობდა ის რუს კურდღელსაც, რომლის სმენას არა სმაურობა არ გამოეპარება; ესეც რომ არ ეოფილიეო, გუჰილს ამ შემთხვევაში იმდენათ თვით ნადირი არ სურდა, რამდენათაც თავისი მოძმეების ნახვა, მათთან დაახლოვება, მათთვის ახსნა, რომ ის მტერი-კი არა, მოუვარე იეო. ტეუილი იმედი! გუჰილი ვერც თვითონ მიუახლოვდა ძმობილებს, ვერც ისინი მოიკარა; მის სევდით სავსე მახილს მხოლოთ ბანი სცემდა ჰასუხს, ბანი, რომელიც თითქო დაცინვით უბრუნებდა მას მისი წკნავილის ნაღვლიან დაბოლოვებას.

ერთ საღამოს მან თავისი ძველი ამხანაგის ხმა იცნო, ამხანაგის, რომელთანაც ეოველთვის ერთათ ნადირობდა უწინ, ტეკვეობამდის; ახლა ის სხვას დაძმობილებოდა, სხვასთან ერთათ ნადირობდა! და გუჰილმა ღრმა, მწკავი მწუსარება იგრძნო, რადგანაც დარწმუნდა, რომ სამუდამოთ განდევნილი იეო თავის გვარისაგან და მკვდარი ეველა სხვა მელიებისათვის.

რამდენჯერ, მაშინაც-კი, როცა ნადირის ჯავრი სულაც არ ჭქონდა, სცადა მან მიჭჰარვოდა მათ, ვინც

ნადირობდა! ამაოთ! მის მიახლოვებაზე მონადირეებიც და ნადირიც თითქო რაღაც სასწაულით ჰქრებოდენ, ირგვლივ სამარისებური სიჩუმე მყარდებოდა...

სადაც უნდა წასულიყო, ეჟვანი, წეული ეჟვანი მთელ ბუნებას აცარიელებდა მის გარშემო და მუდამ თითქო რაღაც საიდუმლოებით მოცულ სამეფოში აცხოვრებდა გუჰილს.

თარგ. ელ. დემოლონ-წერეთლისა.

(შემდეგი იქნება)

ანდაზები

(წარმოდგენილი კოტე სეხნიაშვილის მიერ)

წიწაკისას თავს ვინ ჩივის,
თესლიც ხომ მწარე აქვსო.

—

გულმა გულს სიტყვა უთხრაო,
ენამ ორივე გასცაო.

—

ცეცხლო, შენ ხელი დამწვიო,
შორს გივლი გული მტკივაო.

ყმაწვილებო, ამიწერეთ აქ დახატული სურათი მოკლეთ და ვისი ნაწერიც უკეთესი გამოდგება ჟურნალში დაიბეჭდება და საჩუქრათ ერგება აკაკი წერეთლის დიდი სურათი.

ახსნა გამოცანებისა: ფეხთსაცმელები. ენდრო. ნაცარი, ცეცხლი და კვამლი.

წიწკა.

ცქვიტო
ჩიტო,
ჩიორავ,
ბრიელ-თეთრეულავ
ბოჩორავ,
იცი რა ბედნიერ ხარ?
იცი რა რიგ ნიყვარხარ?
ვით გშვენს ოდეს
სრიალით,
ზარის ხმათა
წკრიალით,
ნაზად,
ლალად,
მალხაზად
დასრიალობ
ფრთა მალობ
სხვასაც ალხენ
შენც ლალობ.
ჩვენსავით გულის მღრღნელი
არ გფლობს სევდა-ნაღველი.
არრა გაქვს საზრუნავი,
არ ხარ კაცთ ნათესავი
ნეტავი შენ, ნეტავი!
მეც ვინატრებდი
წუთით
შენებრ მსუბუქ რბილი ფრთით
ავყოლოდი ნიავსა,
საოცნებო ფიქრთ ნავსა,
და მზის დალალ
გრუზა თმას
თვალ შეუვალ
ფირუზ ცას
მივსალმებოდი ეშხით
მოჭიკჭიკე ტკბილი ხმით
ვიშ, შვებისა ვარდ-ფით
ნარნარი სიმფონიით
რა რიგ ვინეტარებდი.

—

ჩიტუნიავ,
ფრთა ნაზო,
მოკისკასო,
მალხაზო,
სევდის ტყვე
პატიმარი
ბედით კრული
ბედ-შავი
ყოველ დღე
შემოგხარი,
ახ, ნეტავ შენ,
ნეტავი!

დ. თურდოსპირელი.

კახეთი.

ალექსანდრე მაკედონელი.

ავიდა ოთხი წელიწადი მას აქეთ, რაც ალექსანდრე საბერძნეთიდან წამოვიდა. ბევრი მეომართაგანი მოიქანცა, ბევრმა სამშობლოში დაბრუნება დააპირა. ალექსანდრემ ყველა დაასაჩუქრა უხვათ და, ვინც მოისურვა, ეკბატანიდან სამშობლოში დააბრუნა.

ეკბატანიდან ალექსანდრე გაემგზავრა დღევანდელი თეირანისაკენ, საითკენაც დარი ეგულებოდა. გზაზე მან გაიგო, რომ ბახტრიონის მმართველს ბესს ტყვეთ შეეპყრო დარი, და ბორკილები დაედვა. ალექსანდრემ გაიყოლია რამოდენიმე კაცი, დღე და ღამე გაასწორა და მალე დაეწია ბესს. როდესაც ბესსმა დაინახა, დამეწიენო, ხანჯლით დასჭრა რამოდენიმე ალაგას დარი და გაიქცა. სანამ ალექსანდრე მოუსწრებდა, დარიმ სული განუტევა.

ეს მოხდა 330 წელს ქრისტეს დაბადებამდე. დარი ამ დროს ორმოც და ათის წლისა იყო. მას ხელთ ეპყრა უდიდესი და უმდიდრესი სახელმწიფო, ყოველივე ეს დაჰკარგა და ბორკილებში დალია სული უკანასკნელ ავაზაკივით.

ამ გარემოებამ მეტათ დააღონა და შეაწუხა ალექსანდრე. ის გადმოხტა ცხენიდან და მეფური პატივი სცა სპარსეთის ბრძანებლის ცხედარს. შემდეგ წაისვენა ის სპარსეთის სატახტო ქალაქს და, როგორც მეფე, ისე დაასაფლავა. შემდეგ ალექსანდრე კასპის ზღვამდე მოვიდა და მთელი ეს ადგილი უბრძოლველათ შემოიერთა; შეეპყრო ბესსი და გადასცა სპარსეთის სასამართლოს, რომელმაც ბესს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა.

სხვა და სხვა ალაგას ალექსანდრე აარსებდა ქალაქებს და შიგ სტოვებდა ბერძნებსა და მაკედონელებს. ბახტრიონიდან ალექსანდრე გადვიდა დღევანდელს ბუხარასა და თურქისტან-

ში, რომლებსაც მაშინ სოდიანას უწოდებდენ, დაიპყრო ეს კუთხე და რამდენიმე ხანს დაასვენა ჯარი მარაკანდში— დღევანდელს სამარყანდში.

327 წელს ალექსანდრემ ცოლათ შეირთო ბახტრიელი ქალი, როქსანა, რამაც მაკედონელებში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ბერძნები საზოგადოთ ამაყი ხალხი იყო და სხვებს ველურებათ, ბარბაროსებათ სთვლიდენ. ალექსანდრეკი სრულებით სხვა შეხედულებისა იყო. ის პატივსა სცემდა ყველას, დაიახლოვა სპარსელები, ხშირათ სპარსულ ტანისამოსს ატარებდა, მათს სარწმუნოებას, ენას ზნე-ჩვეულებას არა სდევნიდა და ამ მხრივ ყველა ხალხს სრულ თავისუფლებას აძლევდა. ბერძნები და მაკედონელები ამით უკმაყოფილონი იყვნენ: ალექსანდრემ ჩვენ ველურებთან გაგვათანასწორაო. როცა მან ბერძნის ქალის მაგიერ აზიელი მთავრის ქალი შეირთო, უკმაყოფილებამ უფრო იმატა. იმისი ჯარი და მხლებლები ორ ბანაკათ გაიყო: ერთი ალექსანდრეს ამართლებდა, მეორე ამტყუნებდა. უკმაყოფილება თანდათან ჩუმათ იზრდებოდა.

ალექსანდრეს ყველას გათანასწორება უნდოდა, მისი მიზანი იყო, რომ სხვა და სხვა ხალხს ძმური კავშირი შეეკრა მისი მმართველობის ქვეშ. ბერძნებსა და მაკედონელებს-კი ეს არ მოსწონდათ.

საბერძნეთიდან ალექსანდრეს დიდძალი ჯარი მოუვიდა. ყოველი ახალგაზრდა ბერძენი, რომელსაც-კი თავი ესახელებოდა, ალექსანდრესთან მოდიოდა სამშობლოდან, სადაც ალექსანდრეს სახელი დღითი-დღე იზრდებოდა. 327 წელს ქრისტეს დაბადებამდე ალექსანდრე გადვიდა ინდოეთში, რომ ეს მხარეც დაეპყრო.

ინდოეთი დაყოფილი იყო მრავალ სამეფოებათ, ალექსანდრემ დაიპყრო რამოდენიმე, აიღო ისეთი ციხე-სიმაგრეები, რომელთა აღებაც ყველას შეუძლებლათ მიაჩნდა და მოადგა მდინარე გიდასპს, საიდანაც იწყებოდა პორის სამეფო. პორი ძლიერი, გამჭრიახი და შეუპოვარი სარდალი იყო, მას ჰყავდა დიდძალი გაწრთვნილი ჯარი და საომარი სპილოები.

მდინარე მოდიდებული იყო. მეორე ნაპირზე დაბანაკებული იყო პორი ოცდათხუთმეტი ათასი მეომრითა და სამასი

სპილოთ:. სპილოებს მიუსევდენ ხოლმე მტერს; ცხენები მათ დანახვაზე ფრთხებოდენ, სპილოები ხალხს ფეხითა სრესდენ, ხორთუმებითა ჰხოცავდენ და სპილოებზე შემსხდარი მეომრები ზევიდან შეუბრალებლათ სწყვეტავდენ მტერს.

მდინარეში გადასვლა მტრის პირდაპირ შეუძლებელი იყო. ალექსანდრე დარწმუნდა, რომ პორთან ცხენოსანი ჯარით ვერაფერს გააწყობდა, რადგანაც სპილოები თავისი ღრიალით ბრძოლის დროს ცხენებს სრულებით გადარევდენ და აფრთხობდენ.

ალექსანდრემ გაავრცელა ხმა: მთელი ზაფხული აქ უნდა ვიყო დაბანაკებული და შემოდგომაზე, როცა მდინარე დაიკლებს, მაშინ გადავალო. ალექსანდრემ მართლაც დაუწყო დიდძალ სანოვაგეს მოგროვება თავის ბანაკში მტრის დასანახავათ. პორი მოსტყუვდა, დაიჯერა და მაკედონელებს ძველებურათ თვალყურს აღარ ადევნებდა.

ალექსანდრესაც სწორეთ ეს უნდოდა დიდი ნაწილი თავის ჯარისა დატოვა, ოცდაათი ათასი კაცი შეუმჩნევლათ წაიყვანა, გაიარა ოცი ვერსი ღამით და გადვიდა მდინარის მეორე ნაპირს. დატოვებულ ჯარს ალექსანდრემ დაუბარა: როგორც-კი მტერი შეგვნიშნავს და ჩვენ მოგვესევა, თქვენ ისარგებლეთ ამ შემთხვევით, როგორმე გადადით მეორე ნაპირზე და მტერს თავს დაეცით, რომ ამგვარათ შუაში მოვიმწყვრიოთო. გზაზე ალექსანდრემ გაიგო, რომ პორთან მაშველი ჯარი მოდიოდა. იმის დასახვედრათ, ალექსანდრემ დატოვა ჩვიდმეტი ათასი კაცი, თვითონ-კი წაიყვანა ცამეტი ათასი კაცი და გაეშურა პორისაკენ.

დარაჯებმა პორს აცნობეს, ჯარი წყალში გამოვიდა და ვისია, ჯერ ვერ გავიგეთო. რადგანაც მაკედონელთა ბანაკი ძველ ბინაზე იყო, პორმა გადასწყვიტა: ეს სწორეთ ჩემი მაშველი ჯარი იქნებაო და ორი ათასი კაცი გაგზავნა შესაგებებლათ თავისი შვილის მეთაურობით. ისინი შეეფეთენ მოულოდნელათ მაკედონელებს და უჰეტესი მათგანი გაწყდა, სხვები უკან დაბრუნდენ.

მაშინ პორმა თავისი ჯარის ნაწილი მაკედონელთა ბანაკის პირდაპირ დასტოვა სადარაჯოთ, დანარჩენი-კი ხუთ ვერსზე გასჭიმა ალექსანდრეს დასახვედრათ. შუაში სპილოები დააყენა.

როდესაც ალექსანდრე მიუახლოვდა ძლიერ მტერს თავისი ცამეტი ათასი კაცით, ის შეშინდა, რომ გაეთვალისწინებია, საით უფრო ხელსაყრელი იყო მისთვის იერიშის მიტანა. მან გადასწყვიტა, თავს დასხმოდა მტრის მარცხენა ფრთას, რომელიც მდინარესთან უფრო ახლოს იყო. ალექსანდრემ იფიქრა: თუ ვინიცობაა, გამიჭირდა, მდინარის მეორე ნაპირიდან უფრო დროზე მომეშველებიან ჩემი მეომრებიო. მდინარე იმდენად დიდი იყო, რომ ხომალდები დადიოდენ ზედ. ორი რაზმი გაგზავნა მარჯვნით, რომ მტრისათვის თავს მოეარა, ქვეით ჯარს უბრძანა: სანამ ბრძოლა არ გაცხარდეს, ხელი არ გაანძრიოთო; შემდეგ ერთი ნაწილი ცხენოსანი ჯარისა მტრის მარცხენა ფრთას მიუსია, თვითონ-კი იხელთა დრო და მტრის შუა გულზე მიიტანა იერიში. მაკედონელებმა მარცხენა ფრთა მტრისა მალე მოსრისეს. გაგზავნილმა ორმა რაზმმა უკანიდან მოუარა ინდოელებს და ამგვარად ალექსანდრემ მტერი შუაში მოიმწყვდია. მაშინ პორმა მაკედონელებს სპილოები მიუსია. პირველად სპილოების ღრიალმა ცხენები დააფრთხო, მაგრამ მაკედონელები შეჯგუფდენ და დაუშინეს პირდაპირ სპილოებს. დაკოდილმა სპილოებმა იკადრეს უკან დახევა, შემდეგ დაფრთხენ და ინდოეთის ჯარი სულ ფეხით გასთელეს. მდინარის მეორე ნაპირს დარჩენილმა ჯარმა ისარგებლა ამ მდგომარეობით, გადმოეშველა ალექსანდრეს და ამგვარად მაკედონელები ყოველის მხრიდან მიესიენ მტერს. პორი სპილოზე იჯდა და თვითონ ხელმძღვანელობდა ბრძოლას, დიდი გამბედაობა და სიმამაცე გამოიჩინა, მძიმეთ დაიჭრა, მაგრამ ჯარს მაინც მეთაურობდა. როდესაც ჯარი უთავბოლოთ აირია და პირი იბრუნა, პორმაც მიატოვა ბრძოლის ველი და გაიქცა. ალექსანდრემ გაუგზავნა მას ტყვეთ შეპყრობილი წარჩინებულნი ინდოელნი და შეუთვალა: — მნახეო.

პორი დაბრუნდა, ჩამოხტა სპილოდან და მიუახლოვდა ალექსანდრეს; ის უკვე გაჭაღარებული იყო, მაგრამ სიმხნევე, სიამაყე და სილამაზე ჯერ საკმაოთ შერჩენოდა. ალექსანდრე გადმოხტა ცხენიდან მიეგება პორს, მიესალმა და დაეკითხა: — რას მოისურვებო, — მხოლოდ იმას, რომ მეფურად მომეპყრა! — უპასუხა პორმა, რომელმაც ამ დღეს მთელი თავისი ჯარი და ორი შვილი დაჰკარგა. ალექსანდრე მას დიდის პატივით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოეპყრა, მეფობა დაუბრუნა მხოლოდ იმ პირობით, რომ ის იმ დღიდან ალექსანდრეს უნდა დაჰმორჩილებოდა.

ბრძოლის ველზე ალექსანდრემ ააშენა ქალაქი ნიკეოსი და თავისი ბანაკის ალაგას მეორე ქალაქი. ბრძოლაში ალექსანდრეს მოუკლეს მისი ცხენი ბუცეფალი, რომელიც მან თორმეტის წლისამ გაჰხედნა. თავისი ცხენის პატივსაცემათ ამ მეორე ქალაქს სახელათ უწოდა ბუცეფალი, დღეს-კი მას ჯალალპარს უძახიან.

ახლათ დაარსებულ ქალაქებში ალექსანდრემ დასტოვა ბერძნები და მაკედონელები, ამ გვარის საშუალებით ალექსანდრე ხელს უწყობდა ბერძენთა და აზიელთა დაახლოებას და სწავლა-განათლებისა და ცოდნის გავრცელებას ყოველგან. შემდეგ შეუკვეთა მრავალი ხომალდები, რომ მდინარე გიდასპით ზღვისაკენ წასულიყო და, თვითონ-კი ჯარით გასწია აღმოსავლეთისაკენ ინდოეთის დანარჩენი ნაწილების შემოსაერთებლათ.

დიდი ნაწილი ინდოეთისა ალექსანდრემ დაიპყრო, მიაღწია მდინარე გიფაზისს, დააპირა გადასვლა, რომ მთელი ინდოეთი დაეპყრო, მაგრამ ჯარმა წინააღმდეგობა განაცხადა: უკან დაგვაბრუნე, ერთ ნაბიჯს აღარ გადავდგამთ წინო.

ალექსანდრე საშინლათ დააღონა ამ გარემოებამ. ჩაიკეტა კარი თავის კარავში და გარეთ აღარ გამოსულა. როდესაც დარწმუნდა, რომ ჯარის წინააღმდეგობა არ იყო ღსამართლო, გამოვიდა და ჯარს გამოუცხადა: უკან დავბრუნდეთო. ჯარის აღტაცებას სამზღვარი არა ჰქონდა.

ივ. გომართელი.

(შემდეგი იქნება)



ჯეკი.

ცეცხლის მჭრობელი რაზმის ძალლი.

ამ დღესვე ახალი ცხენი მოიყვანეს. ის მშვენიერი იყო და ამასთანვე ერთობ ახალგაზრდა, თავის ნებისა და მკვირცხლი. პირველ შეხედვაზე ეტყობოდა რომ ძალიან ამაყი და მოუსვენარი უნდა ყოფილიყო. ერთ ადგილას მოსვენებით ვერ იდგა, წიხლს ისროდა, იატაკზე ფეხებს აბაკუნებდა და ადგილს ფხაჭნიდა.

— ეს გადარეული განა ჯიმის მაგიერობას გაგვიწევს?—სთქვა ერთმა ცეცხლის მჭრობელმა.

— ოჰ, მაგაზე ნუ შესწუხდებით! უპასუხა ცხენის მომყვანმა.—ცოტა დააცალეთ, რამდენჯერმე სამუშაოთ გამოიყვანეთ და საქმეს მალე შეეჩვევა.—ეს ძალიან ჭკვიანი და გონიერი პირუტყვია.

— ჰო, რასაკვირველია, თუ მთავრობას მანქანის გასაკეთებლათ ფული არ ენანება, ისწავლის რამეს —მე-კი მგონია, რომ ეს ძალიან ძვირათ დაუჯდებათ,—სთქვა მეეტლემ.

ახალი ცხენი ჯიმის ადგილას მშვენივრად მოთავსდა. ის მართლა ძალიან ჭკვიანი ცხენი გამოდგა და თავის მოვალეობას მალე შეეჩვია. ისე მიაქროლებდა მანქანას, რომ თითქო სათამაშოაო. უთუოდ საჯინიბოში წყნარი დგომა მოსწყინდებოდა ხოლმე და უხაროდა, რომ თავისი ახალგაზრდა სხეული აემოძრავა და ქარივით მიჰქროდა. მაგივრად, უკან დაბრუნება ძალიან ეჯავრებოდა. იმ დროს, როდესაც გვერდის ცხენები თავიანთ ტვირთს ეწეოდნენ ის ისე ხტოდა და მოუსვენრად ტორტმანობდა, რომ გამვლელები შეჩერდებოდნენ და უყურებდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალე შუა-გულ ქალაქში ცეცხლი გაჩნდა. ყველა ნაწილიდამ მანქანები გამოიყვანეს და 33 № მანქანაც. ცხენი სულ ხტომით მიარბეინებდა. შუა გზაზე, ერთ ვიწრო ქუჩიდამ ველოსიპედი გამოექანა, შუა ცხენი დაფრთხა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა გვერდზე გადახტა, მანქანა ფანრის ბოძს დაეჯახა და დაიმსხვრა ისე, რომ იმ დღეს მანქანა ველარ ამუშავეს.

როდესაც უფროსს ეს მოახსენეს, იმას მოაგონდა რომ მანქანის წინ ძაღლი მირბის ხოლმე და გადასწყვიტა რომ ეს ამბავი იმ ძაღლის ბრალია.

— ეთუოთ ძაღლი ფეხებში შეეფეთა და ცხენი დაფრთხაო,—სთქვა მან,- გააგდეთ ეგ ძაღლი.

ცეცხლის მქრობელები არწმუნებდნენ უფროსს, რომ ჯეკი აქ არაფერ შუაშია, რომ ის ამდენი წელიწადია დასდევს მანქანას, მაგრამ ამისთანა შემთხვევა არას დროს არ მომხდარა. უფროსი მაინც თავისას არ იშლიდა.

მქრობელებმა უფროსის ბრძანება მაინც არ შეასრულეს, ვერც-კი წარმოედგინათ უჯეკოთ დარჩენა.

მეეტლე მართალი იყო, როდესაც იძახდა რომ მთავრობას ახალი ცხენი ძვირად დაუჯდებაო. ცოტა ხნის შემდეგ კიდევ ამისთანა შემთხვევა გამეორდა და ცეცხლის მქრობელებმა გადასწყვიტეს, რომ ახლა-კი მთავრობის ბრძანების შეუსრულებლობა აღარ შეიძლება. ის კი არ იცოდნენ რა უყონ ჯეკს.

მოხუცი ლედველი არა ერთხელ დახმარებია მათ გაჭირებაში და ახლაც იმას მიმართეს. რიორდანი მივიდა მასთან და საქმის გარემოება აუხსნა.

— მოხუც ჯეკს ხომ ვერ მოვკლამთ, ის საკუთარ ძმათ მიგვაჩნია,—იძახოდა რიორდანი.

— როგორ შეიძლება?! მაგას გულშიაც ნუ გაიტარებთ, —უპასუხა ლედველმა. უნდა იმისთანა ადგილი მოუძებნოთ რომ უკეთ მოეწყოს.

— საქმეც მაგაშია,—სთქვა რიორდანმა,—ის ამდენი წელიწადია აქ მანქანასთან არის შეჩვეული და ახლა ველარსად ვერ გასძლებს. ჩვენ გვინდოდა მეორე ნაწილში გადაგვეყვანა, მაგრამ უფროსი გაიგებს, რომ ჯეკი აქ არის და გამოაგდებს.

საწყალი ძაღლი-კი ნაღვლით მოკვდება, თუ ცეცხლის მქრობელ ნაწილში არ იქნება.

— კარგი, —სთქვა ლედველმა, ცოტა ფიქრის შემდეგ. იმ ქალაქში, რომლის ახლოს ჩვენ ზაფხულობით ვცხოვრობთ ცეცხლის მქრობელი ნაწილია, მივწერ, ვთხოვ რომ ჯეკი იქ წაიყვანონ.

რიორდანეს სახე გაუბრწყინდა.

— ძალიან კარგი იქნება, —გაეხარდა მას. —მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ამ შემთხვევაშიც როგორც ყოველთვის გვიშველიდით.

ჯეკის ბედი გადაწყდა. ძაღლი გულ-დაწყვეტილი ესალმებოდა აქაურობას. ბოკსერმა სიბრაზით კინაღამ აქაურობა დაჰგლიჯა, ჯეკი-კი დამშვიდებული მოელოდა თავის ბედს ისე დარბაისლათ, როგორც შუა ცეცხლში შევარდნის დროს იცოდა.

XIII.

ჯეკი ერთ პატარა ზღვის პირა ქალაქში დააბინავეს, უწინდელ ადგილიდამ ერთ სათის სავალზე. ძაღლი წამოსვლის დროს მატარებელში ისე არ იყო მიწყობილი, რომ არე-მარეს სილამაზით ესიამოვნა. ჯეკს არ სცალოდა საამისოთ ისე ნაღვლიანი და შეწუხებული მიდიოდა.

როცა მატარებლიდამ გამოიყვანეს, სუფთა ზღვის ჰაერი და თბილი მზის შუქი იგრძნო, ამან ცოტათი გაამხნევა და თვარიელება დაუწყო არე მარეს, ის ცეცხლის მქრობელი ნაწილი, სადაც ჯეკი მიიყვანეს შუა ქალაქში იყო ერთ პატარა ხის შენობაში და სრულებით არა ჰგავდა იმ დიდ ლამაზ აგურის შენობას, სადაც ჯეკმა ბევრი წელიწადები გაატარა. აქაური ცეცხლის მქრობელები ძალიან ალერსიანათ დაუხვდნენ ამას რადგან ლედველი ატყობინებდა, რომ ეს ძალიან ჭკვიანი და ბევრი სიკეთის ჩამდენი ძაღლია. მაგრამ ჯეკი ვერ იყო გუნებაზე. ან რა გასაკვირველი იყო—ამისთანა ჭკვიანი ძაღლი, როგორც ჯეკი იყო, გამოჰგლიჯეს თავის დიდი ხნის შეჩვეულ ადგილს, საცა დაბერდა და სხვაგან უცნობ ადგილას, უცნობ ხალხში გააძიეს.

ჯეკი მადლობელი იყო რომ ასე ალერსიანათ დახვდნენ, მაგრამ უწინდელი ხალისი ცეცხლის მჭრობელობის სრულებით დაეკარგა, უთუოდ იმიტომ, რომ იმასთან არც ის ხალხი და არც ის ცხენები არ იყვნენ. როდესაც ცეცხლის ნიშანს დარეკავდნენ ჯეკი ადგილიდამ არ ინძრეოდა და გულ-გრილათ შესცქეროდა მიმავალ მანქანას და ცეცხლის მჭრობელებს.

— ძველ მეგობრებზე ნაღვლობს,—იძახოდნენ ახალი პატრონები.—როცა ჩვენც შეგვეჩვევა, მაშინ გულს მოიბრუნებს.

როდესაც № 33 ცეცხლის მანქანის მჭრობელებმა ეს ამბავი შეიტყეს ძალიან გაუკვირდათ და არა სჯეროდათ. იმათ ეგონათ, რომ მარტო ცეცხლ-მჭრობელ ნაწილში ჩამოუვიდოდა გული. ჯეკი რომ უფრო ახალგაზრდა ყოფილიყო, მაშინ ადვილათ შეეჩვეოდა, მაგრამ ის ახლა ბებერი იყო:

ერთხელ ერთი ცეცხლის მჭრობელი წამოვიდა ქალაქში და ჯეკიც თან წამოიყვანა. როცა მიუახლოვდნენ ქალაქის იმ ნაწილს საცა ამას ეცხოვრა ჯეკმა ქუჩები და სახლები იცნო ყურები ააცქვიტა, კუდი ააბზიკა და სიხარულით კინალამ გადირია:

მაშინვე გაექანა სახლისკენ—კიბეზე ავარდა, ზემო სართულში გაჩნდა, ეს უბედნიერესი წუთი იყო ჯეკის ცხოვრებაში. ამის მეგობრებს უნდოდათ გამოეცადათ თუ რა მიზეზია, რომ ცეცხლის მჭრობელობაზე ასე გული აუცრუვდა. ზარები განგებ ჩამორეკეს, ჯეკმა სწრაფათ კიბე ჩამოირბინა და მანქანას გვერდით გაჩერდა, ყველას შესცქეროდა და გაკვირვებული იყო, რომ ცეცხლის ჩასაქრობათ არ მიდიან.

ამას შემდეგ ჯეკი თითქოს უფრო გამხიარულდა. ახალ ბინაზე მალე ყველას გაეცნო. ბავშვები ეალერსებოდნენ და ფერად-ფერადი გემრიელი საჭმელები მოჰქონდათ მისთვის. ჯეკი გამხნევდა და ცოტ-ცოტა ახალ ცხოვრებას შეეჩვია. მართალია ცეცხლის მჭრობელი მანქანის გამოსვლა ისე არ ასიამოვნებდა, მაგივრად ბევრ სხვა სიამოვნებას გრძნობდა. ცოტა ხნის შემდეგ მთელმა პატარა ქალაქმა გაიცნო ჯეკი და ყველა იმის ჭკუაზე და გამსჭვრეტელობაზე ლაპარაკობდა. ერთხელ ერთ ლამაზს ახალგაზრდა ძაღლს გაეცნო და ისე დაუმეგობრდა, რომ ის ადგილიც კი, საცა ძვლებს ინახამდა ხოლმე, უჩვენა. რადგან ეხლა ჯეკს იმდენი საქმე არა ჰქონდა, როგორც უწინ,

როცა არც-კი ეცალა რომ ნაცნობი ეშოვნა, თავისუფალი იყო და მრავალი ნაცნობობა და მეგობრები გაიჩინა.

ზოგ სახლებს ჯეკი ყოველ დღე ესტუმრებოდა. მივიდოდა, ჩამოჯდებოდა სახლის წინ და ელოდა, მინამ ვინმე გამოვიდოდა. თუ ვინიცობაა არავინ არ გამოვიდოდა—იჯდა თავისთვის და როცა მოსწყინდებოდა მეორე ნაცნობ სახლში წავიდოდა.

ჯეკის წასვლის შემდეგ იმის ძველი მეგობარი ბოკსერი დიდხანს სწყენდა. ის მოდიოდა ცეცხლის მქრობელ შენობაში, ჩამოჯდებოდა ცხენებთან და ხალხს ათვალიერებდა.

ბოლოს ძაღლი მთელ დღეებს აქ ატარებდა. როცა მქრობელი მანქანა ცეცხლის საქრობლათ მიჰყავდათ ის გარშემო უტრიალებდა, ჰყეფდა, მინამ მოამზადებდნენ და როცა მანქანა დაიძროდა—ის თავის ადგილას დარჩებოდა და მხოლოდ თვალს გააყოლებდა.

ბოკსერს ძალიან მოსწონდა საზოგადოთ ბავშვები, იმათაც მალე შეიყვარეს და ეფერებოდნენ. თუმცა ამათ თავდაპირველათ იმის დაღვრემილი სახისა ეშინოდათ. ამ ბავშვებთა შორის სამა და ბილლიც ერია, რომელნიც კარგა ბლომად—გემრიელ საჭმლებს უზიდავდნენ.

XIV.

ბილლის დედა მალე გამორჩა იმდენად, რომ ქალბატონ განლონთან გადმოიყვანეს და აქ კარგმა მოვლამ და ზრუნვამ ჩქარა მოასურიელა ყველაზე უმთავრესი წამალი იმისი ის იყო, რომ თავისი საცოდავი ბრმა ვაჟი გვერდით ჰყავდა და ყურს უგდებდა.

ის ყოველ თავის შვილის მიხვრა-მოხვრას თვალს ადევნებდა და ასჯერ მაინც იმის თავგადასავალის ამბავს გაამეორებინებდა.

სამა ყოველ დღე მოდიოდა თავის ამხანაგთან და თავისი მხიარულებით, რწმენით ამხნევებდა ავადმყოფს. იმას ხშირად ჯეკის ამბავს ეუბნებოდა, ბოკსერზედ უამბობდა, როგორ ის ჯეკის მოადგილეთაა ცეცხლის მქრობელ ნაწილში. მტრედებზე, ბელურებზე, ჯაფარებზე და სხვა ზამთრის ფრინველებზე

მოუყვებოდა ხოლმე. ბილლის დედაც ისე სიამოვნებით ყურს უგდებდა, როგორც მისი შვილი.

ხანდისხან ბილლის დედას თავისი სიყმაწვილე მოაგონდებოდა და სოფლის ამბავს მოუყვებოდა, სამა დიდის სიამოვნებით ისმენდა ხბორების, ბატკნების, ხარების ამბავს, რომელნიც ძალიან ჭკვიანები არიან, მაგრამ არ შეუძლიანთ გამოსთქვან თავიანთი გრძნობა. ბილლის დედამ მშვენიერი ხატვაც იცოდა და ყველა ამ პირუტყვებს ხატავდა. თუმცა ბილლი ამ ნახატებს ვერა ხედავდა, მაგრამ აღტაცებაში მოდიოდა, რომ მის მეგობარს მოსწონდა და ასიამოვნებდა.

— მე რომ ვხედავდე, მგონია, რომ მეც დავხატავდი. მე ვიცი როგორი ხაზები უნდა გაესვას.

— როგორ გგონია, ჯეკის სურათს დახატავდი? - ჰკითხა სამამ.

— მე მგონია, რომ შემიძლია, — უპასუხა ბილლიმ, — იმიტომ რომ ჰაზრით და ხელის შეხებით ვიცი როგორიც არის.

— აი ქაღალდი და კარანდაში, აბა შინჯე, — ეთხრა დედამ.

ბილლიმ აიღო და დაიწყო ხატვა ისე, როგორიც ჯეკი ჰქონდა წარმოდგენილი და ჩინებული ნახატი გამოვიდა, თუ მხედველობაში მივიღებდით რომ ბრმის დახატული იყო.

— ჰო, უთხრა სამამ, — ჰო, ჯეკსა ჰგავს, მარტო შავი ლაქები ტანზე აკლია, მაგრამ შენ ხომ არ გინახავს, მოდი, მე შენ მაგივრად ლაქებს გავუკეთებ.

ამის შემდეგ ბილლიმ ცოტ-ცოტა ხატვა დაიწყო იმ საგნებისა, რომელსაც ხელით ეხებოდა.

მალე დადგა ის დღეც, როდესაც ბილლისთვის ექიმებს თვალის ოპერაცია უნდა გაეკეთებინათ. ის ეხლა საკმაოდ მოღონიერდა. ბილლი წამლით დააძინეს და თვალებზე გადაკრული თეთრი ბისტი ააცრეს. ის დიდხან ბნელ ოთახში უნდა დარჩენილიყო, გვერდით დედა უჯდა და ართობდა და ისიც მოთმინებით მოელოდა იმ დღეს, როდესაც ნებას მისცემდნენ მზის შუქისათვის, ბავშვებისთვის და ქუჩისთვის შეეხედნა.

ამ ხნის განმავლობაში სამას ბილლისთან არ უშვებდნენ და ყმაწვილს ძალიან მოსწყინდა. თუმცა ბევრი მეგობრები ჰყავდა, მაგრამ ბილლისთანათ არც ერთი არ უყვარდა, იმისთვის არაფერს დაიშურებდა.

ბოლოს ის ბედნიერი დღეც დადგა, ყმაწვილს, სამას, გამოუცხადეს რომ ბილლის ნახვა შეუძლია. სამა ძალიან აღელვებული იყო.

— ბებია,—ჰკითხავდა ის,—როგორ გგონია, ეხლა ბილლი ხედავს?

— შენ თითონ ნახე და როცა მოხვალ მიამბე,—უპასუხა ბებიამ.

სამა ისე სწრაფად მირბოდა, რომ გამდელი ვერ-კი მისდევდა.

როცა ყმაწვილი განლონის სახლს მიუახლოვდა, ბილლი ფანჯრიდამ იყურებოდა. სამამ რომ დაინახა იმ წამსვე შენიშნა, რომ ბილლი ეხლა სულ სხვანაირად გამოიყურებოდა. სამას ისე შესცქეროდა—როგორც უცნობს. როდესაც კიბეზე აირბინა, ბილლის სახე მაშინ გაუბრწყინდა, თითქოს მარტო ეხლა დარწმუნდა რომ ეს ნამდვილი სამაა.

— ბილლი ხედავს! დაიყვირა სამამ აღელვებული.—მე დარწმუნებული ვარ რომ ხედავს, ვერა ნახე, გადია, როგორ მიყურებდა და მიღიმებდა?—სამა სწრაფათ ოთახში შევარდა.

როდესაც სამა შევიდა ბილლი გაფითრებული შუა ოთახში იდგა და ხმას არ იღებდა. ის ლიდის ყურადღებით ათვალიერებდა სამას, იმის მხიარულ თვალებს, ვარდის-ფერ ლოყებს და ჯან-მთელ შეხედულებას. უწინ-კი სამას მოსვლა როგორ უხაროდა და ალერსიანად შეხვდებოდა ხოლმე. სამა დაიბნა და ვერ გაეგო თუ რას ნიშნავს ამისთანა ცვლილება, რათ არის ასეთი მორცხვი და ასე ცივად რათ უყურებს, თითქოს ვილაც სულ უცხო ბავშვს ხედავს.

— ბილლი, შენ ხომ ხედავ ეხლა?—ჰკითხა სამამ.

— ჰო,—უპასუხა ბილლიმ.

— განა ჩემი ნახვა არ გიხარიან?—ჰკითხავდა სამა. ის ძალიან სწუხდა, რომ ბილლისაც ისე არ უხარიან იმის ნახვა, როგორც მას.—განა ვერ მიცანი, როცა დამინახე?

— მე ვფიქრობდი რომ უთუოდ შენა ხარ, მაგრამ დარწმუნებული არ ვიყავი,—უპასუხა ბილლიმ.

— მე-კი მეგონა, რომ ეხლა, როდესაც თვალები აგეხილა კმაყოფილი და ბედნიერი იქნებოდი. ნაღვლიანათ უპასუხა სამამ.

ბილლის დედაც აქ იყო, როცა ნახა, რომ სამა ბილლის ცივათ დახვედრით ძალიან გაკვირვებული და შეწუხებული იყო, და ლაპარაკში ჩაერია:

— ხედავ, სამა,—აუხსნა მან,—ბილლისთვის ეხლა ყველაფერი უცნობია, თანდათან ყველაფერს შეეჩვევა.

— მე ხომ ყოველთვინ მიცნობდა,—სთქვა გულნაკლულათ სამამ,—ეხლა ისე მეჭცევა, თითქოს უცხო ვიყო.

-- ჰო, მართალია.

— გიცნობდა ის შენ ხმაზე, სიარულზე,—ამბობდა ბილლის დედა,—შეხედულობით-კი არ იცოდა, როგორი იყავი. იმას უთუოდ სულ სხვანაირად ჰყავდი წარმოდგენილი და ეხლა ხელმეორედ უნდა გაგიცნოს და შეგეჩვიოს.

ეხლა სამამ გაიგო, თუ რატომ ბილლი ასე ცივათ მოეპყრა.

— მართალია, ის მე არ მიცნობდა,—სთქვა მან.—ნეტა როგორი ვეგონე, რაფერი თვალები უნდა მქონოდა?

— მე არ ვიცი რა ჰქვიან იმ ფერს,—უპასუხა ბილლიმ.

— აი ხედავ,—აუხსნა დედამ,—ჯერ ფერების სახელებიც არ იცის, ჯერ კიდევ ბევრი რამის შესწავლა დასჭირდება.

— მე-კი მეგონა, რომ იცოდა, სთქვა სამამ.—ჩემმა ოთხი წლის დამ, ენნიმ, იცის.

— შენი და ყოველთვინ ჩედავდა,—უთხრა ბილლის დედამ.

— ეგეც მართალია,—ჩაფიქრებული სთქვა სამამ.—დიდი განსხვავებაა, ესეც ხომ მალე ყველაფერს გაიცნობს და შეისწავლის?

ეკ. მესხისა.

(შემდეგი იქნება)

ყოველგვარი ხარისხის და წოდების ხალხი.

(ბერლინისა)

ვაჭრები.

სანამ ისინი არ იყვენ.

ყოველ ისეთი დრო, როდესაც არ იცოდენ ყიდვა-გაყიდვა. ეს იმ დროს იყო, როდესაც კაცობრიობას საერთო ცხოვრება ჰქონდა, თემობრივი მიწის მფლობელობა. მჭიდრო და მეგობრული კავშირი სუფევდა ერთმანერთ შორის, და ჯერ არ იცოდენ შენი და ჩემი რა იყო. რაც ეკუთვნოდა მთელ თემს, საერთოთ მფლობელებს, ისევე ეკუთვნოდა სათითავოთ ყველა მის წევრს. ეს საერთო ცხოვრების წესი ახლაც არის დარჩენილი ზოგიერთ ველურ თემებში.

ამ გვარ ხალხში, რადგან არ იყო გარჩევა „შენი და ჩემისა", ამიტომ აღებ-მიცემობაც შეუძლებელი იყო.

მაგრამ ახლა სულ სხვაა, ხალხმა იცის გარჩევა თავისი და სხვისა. რაც ეკუთვნის მეზობელ თემს ეძახიან „სხვისას" საზოგადოთ ველურის ვიწრო შეხედულება სხვაზე გამოიხატება ჩუმი მძულვარებით და დაუსრულებელი ბრძოლით. თავისიანებთან უანგარო და გულ-კეთილი ველური, სხვა თემს რომ შეხვდება, ხდება საშინელი ვერცხლის მოყვარე. იგი თავისიანებისთვის არაფერს არ იშურებს, მაგრამ უცხოს-კი არ შეარჩენს არაფერს. ამ გვარი ველურების საერთო მიწის მფლობელობა უჭირებს საქმეს მეზობლებს, მათთან აქვთ ხოლმე უბოლოვო ჰატარ-ჰატარა ომი, ცდილობენ წაართვან ესა თუ ის დაჩემებული ადგილები: მაგალითად სათევზაო მდინარე, სანადირო ადგილები, ან ხევის წყალი, რომელიც მეტადრე უდაბნოში ძვირფასს ანძათ მიაჩნიათ. ბევრ ველურ ქვეყნებში იქაური ხალხი არ ერიდება საშიშ ადგილებს. მიდიან იქ და სასტიკათ უმკლავდებიან იმათ, ვინც ხელს შეუშლის, რა არი შეიძინონ ან ძვირფასი ქვები და ან მცენარეები.

ავსტრალიის თემი დიერი ყოველ წლივ ერთ და იგივე დროს სამოცდა ათ ან ოთხმოცდა ათ კარგა შეიარაღებულ კაცს გზავნის სადღაც ათას მთის იქით წითელი თიხის სა-

შოვნელათ, რომელიც ესაჭიროებათ ტანის შესაღებათ, ან ეროგვარ მცენარის პიჩერის ფოთლების და ტოტების მოსატანათ, რომლებსაც ავსტრალიელები ღეჭამენ თამბაქოს მაგივრათ. ეს გაგზავნილი კაცები ბევრ ჩხუბს და ვაი-ვაგლახს იტანენ, სანამ თავიანთ მონდობილობას აასრულებენ. მაგრამ როდესაც ეს გაგზავნილები ამ გრძელ გალაშქრების შემდეგ ბრუნდებიან დატვირთულნი აუარებელი თიხით, ფოთლებით და ტოტებით მთელი თემი თავს იყრის და მათ სიხარულს და ლხენას ბოლო არა აქვს.

როდესაც რომელიმე კაცი შეხვდება უცხო თემის კაცს, მაშინათვე ელვიძება სურვილი შეიძინოს მისი საკუთრება, სწყურიან მისი წართმევა, შეიარაღებული ცდილობს თავისი სურვილის ასრულებას და სიმდიდრის ხელში ჩაგდებას. ერთი სიტყვით სხვისი სარჩოს დასაკუთრებას. ბუნებაც ხელს უწყობს ამათ ქიშპობას და ვაი-ვაგლახს, რადგან ის დედა-მიწაზე თანასწორათ არა ჰფენს თავის სიმდიდრეს. მაგრამ თანდათან ამ წართმევა—გლეჯას მოსდევს სარჩოს გაცვლა-გამოცვლა. მეზობლები მოღალულნი ჩხუბით და ერთმანერთის ცარცვით სწავლობენ წესიერათ და მშვიდათ გაცვლა-გამოცვლას, აღებ-მიცემობას.

მშვიდობიანობა და არა მახვილი!

ერთი მეორეს ენდობლობით უყურებდენ, ყოველ წამს მოელოდენ რომ უცხო მეზობელი რაიმე სისაძაგლეს მიაყენებდა მათ. ბოლოს სხვა და სხვა თემებმა თავი მოიყარეს წესების შემოსაღებათ, რომ თავიანთი ნაწარმოები გაცვალ-გამოცვალონ. ამაზე უკეთეს ვერაფერს მოიგონებდენ, თორემ შეხვედრის დროს დაუძინებელი მტრები ერთმანერთს არა ზოგავდენ და შესაძლო იყო ჩაეხოცათ ერთმანერთი. მტრები ერთმანერთს არა ხედავდენ, არა ლაპარაკობდენ და ნაწარმოების გაცვლა გამოცვლა-კი ჰქონდათ. ეს ჩუმი, მუნჯური აღებ-მიცემობა იყო.

ერთი ველური მონადირე ცეილონის კუნძულისა თავიანთ გალვალ ტყიდან და ბუჩქებიდან ჩუმ-ჩუმათ იპარებოდა სხვა მეზობელ თემის სანგულის მეჭედელთან. მის სახლთან აწყობდა თავის მოტანილს: თაფლს, სანთელს, სპილოს ძვალს

და ნანადირევ ირმის ხორცს. მჭედელს ესმოდა ესიტყვოთ რასაც ნიშნავდა ველურის საჩუქრები იღებდა და სამაგიეროთ იმ ადგილას უწყობდა რამდენიც წესით დადებული იყო რკინის სათითურებს შვილდ-ისრისთვის, რადგან იმ ველურებმა არ იცოდენ ამის გაკეთება. მჭედელი სვინიდისიერათ ასრულებდა თავის მოვალეობას. ან რა სახალისო იყო გაჯავრება და შურის ძიება ველური მონადირესი.

როდესაც ბევრი გაცვლა-გამოცვლა იყო სხვა და სხვა თემები ახერხებდენ ერთმანერთან შეხვედრას, მხოლოთ ფრთხილათ, ეშინოდათ რომ რომელიმე დაუძინებელმა მტერმა არ უღალატოსთ. ბრაზილიის ინდოელები როდესაც დანიშნულ ადგილას თავს მოიყრიდენ აღებ-მიცემობისათვის იარაღს აიყრიდენ და გვერდზე მოიდებდენ, მაგრამ გათავდებოდა თუ არა ამათი აღებ-მიცემობა საჩქაროთ ორივე მხარეები აიტაცებდენ ხოლმე თავიანთ იარაღს, ზოგიერთ ნუბიის მეომართა ადგილებში აღებ-მიცემობა მოხდებოდა უიარაღო კაცებთა შორის, მაგრამ ორივე მხარეს უკან უდგათ შეიარაღეული კაცები, რომელნიც თუ საჭირო იქნებოდა თავისიანებს მიეშველებოდენ.

პირველი აღებ-მიცემობა.

ველური თემები რამდენიც უფრო ხშირათ ხვდებოდენ ერთმანერთს, იმდენათ უფრო გრძნობდენ რომ საჭიროა მეზობლებთა შორის აღებ-მიცემობის წესიერათ დაყენება. ერთი მხარე მდიდარი იყო მარილით, მეორე მარცვლეულობით, მესამე ნანადირევით. ერთი თემი დახელოვნებული იყო მჭედლობაში, მეორე თიხეულობის გაკეთებაში, მესამე საფეიქრო საქმეში. ყოველი თემი მოწადინე იყო მისცეს თავის მეზობელს მეტი ნაწარმოები და სამაგიეროთ მიიღოს ის საქონელი, რომელიც თვითონ ესაჭიროებოდა.

მეზობლობის საჭიროებამ გამოიწვია ველურთა შორის ჩვეულება, რომელიც დაედო საფუძვლათ მომავალში აღებ-მიცემობის წესიერებას. მეზობლები ერთმანერთს შუა სამძღვრებზე ნაჭერ მიწას სტოვებდენ და ეს მიწა იყო ამათი შემაერთებელი ადგილი, სადაც აკრძალული იყო ჩხუბი და ვერც შეიარაღებული ვინმე მივიდოდა იქ. ამ ადგილას იკრიბებოდენ სხვა და სხვა თემები და დამშვიდებით და წყნარათ თავიანთ ნაწარმოებებს ერთმანერთს უცვლიდენ.

ჩრდილოეთ ამერიკის ინდოელებს ამისთანა სამშვიდობო ადგილი ჰქონდათ წითელ მთების თვალ გაუწვდენელ მინდორ-ველებზე. იმათი თქმულობით იმათმა ღმერთმა გიტჩი-მინიტამ ყველა წითელ კანიანებს მოუყარა თავი და ანდერძათ დაუდო, რომ ძმებივით თანხმობით და მშვიდობიანათ ეცხოვრათ. ყველა წითელ კანიანებს ძალიან სწამდათ ეს „სამშვიდობო ადგილი“ რაც უნდა დაუძინებელი მტრები ყოფილიყვენ აქ ერთმანერთს ძმურად შეხვდებოდენ და ამ წმიდა ადგილს არც ერთი ინდოელი ვისიმე სისხლს არ დაღვრიდა. ყოველ წელიწადს, დანიშნულ დროს, სხვა და სხვა ადგილას აქ თავს იყრიდენ მცხოვრებნი—წითელ კანიანები. ყოველ თემს მოჰქონდა თავიანთი ადგილის სიმდიდრე—თავიანთი ნაწარმოები და ერთმანერთ შორის დიდი გაცვლა-გამოცვლა იყო. აქ ნახავდით პურს და სხვა მარცვლეულობას, სახლის ავეჯეულობას, ბამბის ნაქსოვებს და მომხიბლავ თილისმას. ერთი სიტყვით მიეგვანებოდა ნამდვილ ჩვენ ახლანდელ ბაზრობას. ამ ბაზრობის დროს წითელ კანიანები მხიარულობდენ და დროს ატარებდენ. ერთმანერთს ებრძოდენ, ღონეში და სიმარჯვეში ექიშპებოდენ, კოჭაობდენ და სხვა და სხვა თამაშობაში ერთობოდენ.

სწორეთ ასეთივე სამშვიდობო ადგილი შორეულ საბერძნეთსაც ჰქონდა. ეს ადგილი იყო დელფში, ოლიმპიის სათაყვანო ტაძარში. რაკი ხალხი იმას მიუახლოვდებოდენ ისპობოდა ყოველივე ჩხუბი და ყველაფერი წყნარდებოდა. მებრძოლთა რაზმები ამ ადგილში გავლის დროს უნდა სამზღვარზე აეყარათ თავიანთი საომარი იარაღი და მერე დაბრუნების დროს ისევ მიიღებდენ. დღესასწაულების დროს, ყოველ წლივ იმართებოდა დელფში სხვა და სხვა წარმოდგენები. მოდავე თემები ერთმანერთს მშვიდათ შეხვდებოდენ საქონლის გაცვლა-გამოცვლისთვის, საჭიდაოთ და სხვაფრივ დროს გასატარებლათ.

ძველ დროის სლავიანებსაც ჰქონდათ ამ გვარივე ჩვეულება, მოდავეები ერთმანერთს შეხვდებოდენ, ღმერთებს მსხვერპლს სწირავდენ, ჰქონდათ გაცვლა-გამოცვლა, იმართებოდა სხვა და სხვა თამაშობა. უფრო დიდ დღესასწაულებში ხომ ხალხი იკრიბებოდა მარტო სალოცავათ კი არა—უფრო დროს გასატარებლათ და ნაწარმოების გაცვლა-გამოცვლისთვის.

ან. წერეთლისა.

(შემდეგი იქნება.)

48/13

თავის მოვლა.

აუნათლებელი ხალხი დღესაც დარწმუნებულია, რომ სხვა და სხვა გადამდებ ავათმყოფობას უხილავი ბატონები და ანგელოზები აჩენენ. ამიტომ, როდესაც ვინმე გადამდები სენით გახდება სოფელში ავათ, უმთავრეს ყურადღებას იმას აქცევენ: ბატონები არაფრით გავახელოთ და არ გავარისხოთო.

დღეს უკვე დამტკიცებულია, რომ სხვა და სხვა გადამდებ სნეულებას პატარა, ერთი ცუცქუნა არსებანი აჩენენ. ეს არსებანი თავისი სიპატარავის გამო თვალით არა სჩანან, გამადიდებელი შუშებით კი შეიძლება მათი დანახვა და შესწავლა. რადგანაც უმეტეს მათგანს მოგძო ტანი აქვს და პატარა ჩხირებს მიემზგავსებიან, მეცნიერებმა მათ უწოდეს ლათინური სახელი—ბაცილები, რაც ქართულათ ჩხირს ნიშნავს. კი არ უნდა იფიქროთ, ვითომ ბაცილებს თავი ცალკე ჰქონდეთ, კუდი ცალკე, თვალები, ყურები, ცხვირი ცალკე და სხვა. გამადიდებელი შუშებით რომ გასინჯოთ, გაარჩევთ მხოლოდ ტანს და ზოგჯერ პატარა ბუსუსებს, რომლებიც ფეხების მაგიერობას ასრულებენ. ტანი ზოგს მოგძო აქვს, ზოგს მოხრილი, ზოგს რგვალი—ბურთივით, ზოგს ჭახრაკივით დაკლაკნილი. სხვა და სხვა ავათმყოფობას სხვა და სხვა ბაცილები ჰყავს. ჭლექის ბაცილა სხვა არის, სახადისა სხვა, ხოლერისა სხვა, წითელასი სხვა, ყელ-ჭირვებისა სხვა, ქუნთრუშასი და ყვავილისა სხვა და ხხვა. დღეს შესაძლებელია ცალ-ცალკე მომრავლება და მოშენება ყველა ამ ბაცილებისა. ზოგი მათგანი რძეში უფრო მრავლდება, სხვები ბულიონში, სისხლში, კარტოფილზე და სხვ.

როდესაც ესა თუ ის ბაცილა ადამიანის აგებულებაში დაიბუდებს, გამოიწვევს შესაფერ ავათმყოფობას; მაგალითათ თუ ადამიანის სხეულში ჭლექის ბაცილები დაბინავდენ და გამრავლდენ, ადამიანი ჭლექდება; თუ ხოლერის ბაცილები მოშენდენ, ადამიანი ხოლერით სნეულდება და სხვ. ბაცილები საერთოთ საშინლათ მრავლდებიან.

ერთი ბაცილა დღე და ღამის განმავლობაში რამდენიმე მილიონ შთამომაღლობას სტოვებს და მთელი ეს შთამომავლობა მოთავსდება თავისუფლათ ერთ წვეთ წყალში. ამასთან ბაცილები მეტათ ამტანები არიან: სიცხესაც ძალიან უძლებენ, სიკვესაც. ადამიანი რომ ცივ-ზამთარში მინდორში დარჩეს ღამე, გაიყინება, ბაცილას-კი ერთ ბუსუსსაც ვერ მოსწვავს. ადამიანი რომ ცხელ წყალში ჩააგდოთ, მოიხარშება, ან გაიფუფქება; ბაცილა-კი ტანს გაიბანს და უვნებელი დარჩება.

მოდი და ებრძოლე ამისთანა მტერს, რომელსაც ვერც ყინვა აკლებს რასმე, ვერც მდუღარე, ვერც თოფი და ვერც ხმალი! თვალით რომ ინახებოდეს, კიდევ კარგი, მაგრამ საქმე იმაშია, რომ უხილავია და ვერ შეამჩნევ, საიდან მოგეპარება.

ბაცილა ჩვენი თვალისაგან დამალულია მით, რომ პატარაა და ჩვენ ვერა ვხედავთ. ჩვენ-კი ბაცილასათვის მთელ დედამიწას წარმოვადგენთ. ამიტომ ბაცილა ჩვენთვის დამალულია, ჩვენ-კი მას ვერსად ვერ დავემალებით.

ყველა ჩვენი მეცადინეობა, რომ ბაცილებს დავემალოთ როგორმე, უქმია: იალბუზზე რომ ავიდეთ, იქაც-კი მოგვაგნებენ. უქმია აგრეთვე ჩვენი მეცადინეობაც, რომ ბაცილები მოვსპოთ: რა ეშმაკი მოსპობს მათ, როცა ოცდაოთხ საათში ერთი ბაცილა რამოდენიმე მილიონ ბაცილას სტოვებს!

მაშ ცუდათ ყოფილა ჩვენი საქმე. უნდა დავიკრიფოთ ხელები გულზე, დავაღოთ პირი და ვყლაპოთ ბაცილები!

არა, უნდა ვიცხოვროთ ისე, რომ ბაცილები ვერ მოგვერიონ. თუ-კი ისინი ვერ მოგვერევიან და ვერას დაგვაკლებენ, მობრძანდენ და ინავარდონ ჩვენს სხეულში, რამდენიც ენებებათ. ჩვენს შორის ძალიან ბევრი არიან ისეთი პირები, რომლებსაც ვერც ჭლექის ბაცილები აკლებენ ვერასფერს, ვერც ხოლერისა, ვერც სახადისა და სხვ.

რითი, რა გზით, რა საშუალებით შეიძლება ისე გაღონიერება, რომ ბაცილებმა ვერაფერი დაგვაკლონ?

ივ. გომართელი.

(შემდეგი იქნება)

მიიღება ხელის მოწერა 1911 წლისათვის.

სახალხო გაზეთი

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

მომავალ 1911 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც წარსულს წელს გამოდიოდა.

ყოველ დღიურ გაზეთების გარდა გაზეთს ექნება

სურათებიანი დამატება.

დამატება გამოვა კვირაობით.

გაზეთის ფასი დამატებიანად: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური. დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება „სახალხო გაზეთის“ კანტორაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Редакція „Сахалхо газети“.

ПОДПИСКА НА 1911 ГОДЪ.

на политическую, общественную и литературную ежедневную газету

„Закавказье“

Годъ VI-й.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Съ доставкой въ Тифлисѣ:		Съ пересылкой въ другіе города:	
На годъ . . .	6 р. — к.	На годъ	8 р. — к.
На полгода . .	3 р. 50 к.	На полгода . . .	4 р. 50 к.

Помѣсячно повсюду 75 коп. Заграницу—вдвое.

За перемѣну адреса городского на иногородній—1 руб., съ иногородняго на городской—50 коп.

Объявленія внѣ предѣловъ Кавказа принимаются исключительно въ центральной конторѣ торговаго дома. Л. и Э. Метцль и К. въ Москвѣ, Мясницкая, д. Сытова, и въ отдѣленіяхъ въ С.-Петербургѣ, Большая Морская, № 11, и въ Варшавѣ, Маршалковская, № 130, по 24 к. передъ текстомъ и 12 к. послѣ текста.

Редакція и контора помѣщается въ Тифлисѣ, на Дворцовой ул., въ домѣ грузинскаго дворянства.

Телефонъ редакціи 917. Телефонъ редактора 1035.

Редакторъ М. В. Мачабели. Издатель Д. П. Мадчаваріани.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯეჯილი

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი.

ოცდა მეორე წელიწადი.

მიიღება ხელის მოწერა 1911 წლისათვის

გამოვა თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი განყოფილება, პატარებისათვის და მოზრდილთათვის.

ჟურნალი «ჯეჯილი» თბილისში ეღირება **4** მან, ქალაქ გარეთ (გაგზავნით) **5** მან.

ნახევარი წლით **3** მან., ცალკე ნომერი **40** კაპ.

ქალაქ გარეთ მცხოვრებლებს შეუძლიანთ მიმართონ:

თელავში—კნ. ნ. ჩოლაყაშვილს,

სიღნაღში—კნ. ნ. ანდრონიკაშვილს.

ჭიათურაში—ნიკო წუწუნავას.

ბათუმში—მისეულ კალანდაძეს.

ფოსტის ადრესი: Въ тифлисъ въ Ред. Грузынскаго дѣтскаго журнала „Джеджили"

რედ.—გამომცემელი ან. თუმანიშვილი წერეთლისა.

Открыта подписка на 1911 годъ

НА ГАЗЕТУ

„Закавказская Рѣчь"

Подписная цѣна

Съ доставкой на домъ:	Въ Тифлисѣ.	Въ провинціи.
На годъ	6 руб. — коп.	8 руб — коп.
„ полгода	3 руб. 50 коп.	4 руб 50 коп.
„ 3 мѣсяца	2 руб. — коп.	2 руб. 25 коп.
„ 1 мѣсяцъ	— 75 коп.	— 75 коп.

АДРЕСЪ: Тифлисъ, реоакція газ. „Закавказская Рѣчь", Эриванская площадь, домъ Харазовой

Для телеграммъ: Тифлисъ, „Закавказская Рѣчь".

Редакторъ **Р. Д. Бебіевъ**.

Издатели: П. А. Готуа. Кн. Г. І. Амираджиби.